პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 20 (10717) | ხუთშაბათი, 24 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ზეიმი ორდენოსანი თურქმენეთის დედაქალაქში

აშხაბადი, 21 იანვარი. (საკდესი). დღეს თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემას. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. ა. ი. მიქოიანს, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, საკოლმეურნეო სოფლის სახელგანთქმულ მშრომელთა, წარმოების ნოვატორთა გამოჩენას პრეზიდიუმში.

თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ტ. ატაევმა, გახსნა რა სესია, რესპუბლიკის მშრომელებს მიულოცა მაღალი ჯილდო.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ამხ. ა. ი. მიქოიანს, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ამხ. მიქოიანმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიულოცა თურქმენეთის მშრომელებს მაღალი ჯილდო წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობისა და მისი მთავარი დარგის — მებამბეობის აღმავლობაში და უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ამხ. ა. ი. მიქოიანმა მთელი დარბაზის ტაშის გრიალში გადასცა ლენინის ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი. ორდენი და სიგელი მიიღეს თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ბაბაევმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ოვეზოვმა, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. სარიევმა, რომლებიც ანასტას ივანეს-ძეს გადაკოცნეს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, რომელმაც განიხილა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების აქტუალური საკითხები, შეაჯამა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ზრდის ბრწყინვალე შედეგები 1956 წელს და დასახა ღონისძიებანი, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ამ დღეებში შედგა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებსა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მორიგ ამოცანებს. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხი, უდიდესი სიხარულითა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ დეკემბრის პლენუმის დადგენილებებს, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ კომუნისტური პარტიის მიერ ბრძნული ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგად მიღწეულია დიდი წარმატებანი სოციალისტური მრეწველობის, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში. ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი გახდა, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა ის მიღწევები, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის მრეწველობამ 1956 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულა 102 პროცენტით. აშენდა და მწყობრში ჩადგა მრავალი ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის — ტყიბულის, გუმათის № 2 და ბჟუჯის ჰიდროელექტროსადგურები, „ახალციხექვანახშირის“ შახტი № 3, ცემენტისა და აზოტოვანი სასუქების ქარხანა რუსთავში და სხვ.

გასულ წელს მიღწეულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდება. წარმატებით შესრულდა დამზადების გეგმები: პურისა — 102,8 პროცენტით, ყურძნისა — 103,4 პროცენტით, ციტრუსოვანთა ნაყოფისა — 117,7 პროცენტით, მატყლისა — 126,3 პროცენტით. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დავალება.

აღნიშნა რა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების წარმატებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიგვითითა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. მაშინ როცა 1955 წელთან შედარებით გაიზარდა ქვანახშირის, ლითონის, ცემენტის გამოშვება და ხე-ტყის დამზადება, 1956 წელს ამ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა არ შესრულებულა. აგრეთვე მთლიანად არ შესრულებულა როგორც აღნიშნული დარგების, ისე სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებისა და საბინაო მშენებლობის გეგმები. ეს აიხსნება როგორც ნაკლოვანებებით სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, ისე იმით, რომ ცალკეული სამინისტროები დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობენ საწარმოებსა და მშენებლობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში მთლიანად და სავსებით შეეხება ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციასაც.

რესპუბლიკის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. 1956 წელს სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა რესპუბლიკის 249 საწარმომ. ამ საწარმოთა რიცხვშია ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის საქართველოს ქვანახშირის კომბინატი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, გორის ბამბეულის კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის საავტომობილო, კასპის ცემენტის, რუსთავის აზოტოვანი სასუქების და სხვა ქარხნები.

პარტიული აქტივის კრებამ აღნიშნა, რომ მთელი რიგი საოლქო და რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ, ცუდად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს მარცვლეულის, ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, როგორც პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის.

დიდი ამოცანები დგას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე. 1957 წელს ჩვენმა მრეწველობამ საგრძნობლად უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება. მწყობრში უნდა ჩადგეს მთელი რიგი ახალი საწარმოები, მაღაროები, ჭრილები, ჰიდროელექტროსადგურები, მკვეთრად უნდა ამაღლდეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება მსუბუქი, ადგილობრივი, კოოპერაციული და კვების მრეწველობის საწარმოებში. მძლავრად უნდა განვითარდეს საშენი მასალების წარმოება, განსაკუთრებით მსხვილი ბლოკებისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების გამოშვება.

მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დიდი ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის აუცილებელია მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება, წარმოების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და მისი სრულყოფა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, წარმოების შინარეზერვების გამოვლინებას და მათ გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას, თვითეული საწარმოს რიტმულ მუშაობას, ყველა საწარმოს მიერ გეგმების აუცილებლად შესრულებას.

უნდა აღვკვეთოთ ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელების ცდები — დაგეგმვის ნაკლოვანებებით დაფარონ თავიანთი არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და ასეთ ხელმძღვანელთა მისწრაფება — მიაღწიონ გეგმების შემცირებას. გეგმები უნდა იყოს რეალური და არა შემცირებული, გეგმები უნდა იყოს მამობილიზებელი, მათ საფუძვლად უნდა ედოს ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშებანი, მოწინავე გამოცდილებისა და წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენება.

სახალხო-სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მასების — მუშების, კოლმეურნეების შრომითი აქტივობის შემდგომ ამაღლებას. ფართოდ უნდა გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ წარმატებები მოვიპოვოთ მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის მშრომელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიული აქტივის კრებამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სამშენებლო საქმის, კერძოდ საბინაო მშენებლობის მკვეთრად გაუმჯობესების საკითხებზე. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია თითქმის ერთიორად გადიდდეს საბინაო მშენებლობის მოცულობა.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიური კონტროლი და დახმარება გაუწიონ საბინაო მშენებლობის მიმდინარეობას, დანერგონ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, მხარი დაუჭირონ და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშრომელთა ინიციატივას აიშენონ სახლები თავიანთივე ძალებით, მიაღწიონ იმას, რომ სულ უფრო უმჯობესდებოდეს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებას. აუცილებელია კიდევ უფრო ამაღლდეს ყველა პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა და პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი და გავაძლიეროთ მშრომელი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

უდიდესი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე. მათ წელს უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობა. ამჟამად კოლმეურნეობები აჯამებენ გასული წლის მუშაობის შედეგებს და ამუშავებენ 1957 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. აუცილებელია თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში ყოველმხრივ და ღრმად იქნას გამოაშკარავებული და გაკრიტიკებული ნაკლოვანებანი, უფრო სრულად იქნას გამოვლინებული არსებული რეზერვები და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი, მეურნეობის თვითეული დარგის შემდგომი უფრო სწრაფი განვითარებისათვის.

სოფლის მშრომელთა ვალია კარგად მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის, 15 თებერვლისათვის დაამთავრონ ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი, სრულად მოიმარაგონ თესლი, დააკომპლექტონ კადრებით სატრაქტორო და საწარმოო ბრიგადები, მიაღწიონ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ გადიდებას და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თავის დროზე და მეტი რაოდენობით ჩაბარებას. ეს არის სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის საპატიო, საბრძოლო ამოცანა.

რესპუბლიკურმა პარტიულმა აქტივმა მოუწოდა კომუნისტებს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას — კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელი თავიანთი ძალღონე, მონდომება, ცოდნა და ენერგია მოახმარონ იმას, რომ სრულად გამოვიყენოთ თვითეული საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის შესაძლებლობანი, მათი შინაგანი რეზერვები და ამის საფუძველზე მივაღწიოთ პარტიის XX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებას.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 28-ე ტომი ჩინურ ენაზე

პეკინი, 19 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს პეკინში დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 28-ე ტომი ჩინურ ენაზე.

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს წარმატებებს, რომლებიც თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებმა მოიპოვეს, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ბრძანებულებით თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

მე მაქვს კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო დავალება, დავალება, რომელიც სასიამოვნოა ჩემთვის, ლენინის ორდენი გადავცე თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! გამოვდივარ რა დღეს თქვენს დღესასწაულზე, მაგონდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმი.

ორივე პლენუმზე ჩვენმა პარტიამ, მისი ცენტრალური კომიტეტის სახით, ყოველმხრივ განიხილა სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, კომუნისტური გულახდილობით და გამბედაობით გამოავლინა ნაკლოვანებანი, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგში გვაქვს, და მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სამრეწველო განვითარებისაგან და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დონისაგან საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის უსწრაფესი ლიკვიდაცია.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმების გადაწყვეტილებანი ეხებიან იმ პოლიტიკის შემდეგ მთავარ მიმართულებებს, რომელიც დასახული იყო, ხორციელდებოდა და ხორციელდება მთელი ბოლშევიკური თანმიმდევრობით:

ჯერ-ერთი, გაძლიერებულ იქნა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით. თუ ასეთი დაინტერესება არ არის, არა მარტო კოლმეურნეებს, არამედ მუშებსაც არ შეუძლიათ იმუშაონ ისე, როგორც საჭიროა სოციალისტურ სახელმწიფოში, ძალების საჭირო დაძაბვით, შრომის დიდი ნაყოფიერების მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით ამ პერიოდში გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასამზადებელი ფასები და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

მაგრამ მარტო მატერიალური დაინტერესების ღონისძიებებით არ შეიძლებოდა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ლიკვიდაცია. ინდუსტრიალიზაციის წლებში, განსაკუთრებით ომის დროს და ომის შემდეგ, მრავალი კოლმეურნე სამუშაოდ გადავიდა მრეწველობაში. ამიტომ მარტო მატერიალური დაინტერესებით შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის აღმავლობა. არ კმაროდა მუშახელი. ამიტომ პარტიის მეორე დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციის გაძლიერების შესახებ. ამისათვის საჭირო გახდა გაგვეფართოებინა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა და მოგვემარაგებინა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები საუკეთესო თანამედროვე მანქანებით.

მესამე, რის მოცემა შეუძლიათ კარგ მანქანებს, თუ არ იქნენ მომზადებული კადრები ამ მანქანების დასაუფლებლად? მანქანები მკვდარი ტვირთი იქნებოდა მათთვის და არა დახმარება. მაშინ პარტიამ ქალაქების დაწესებულებებიდან და საწარმოებიდან მობილიზაცია გაუკეთა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, ე. ი. მინდვრებში სამუშაოდ გაგზავნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, აგრონომიის 200 ათასზე მეტი სპეციალისტი.

ამრიგად, კოლმეურნეობებმა და სოციალისტურმა სოფელმა სოციალისტური ქალაქებისაგან დასახმარებლად მიიღეს არა მარტო მანქანები, არამედ აგრეთვე სერიოზული მაშველი ძალა სპეციალისტთა კადრების სახით.

მეოთხე, საჭირო იყო სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა საბჭოთა ორგანოების მხრივ და პარტიული მუშაობის გარდაქმნა. ამაში მთავარი იყო ბიუროკრატიზმის ლიკვიდაცია საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში და ასპარეზის შექმნა კოლმეურნეობათა თვითმოქმედებისათვის, რათა მათ ემუშავნათ თავიანთი საკეთილდღეოდ და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. როგორც იცით, შეიცვალა დაგეგმვის მეთოდები, ხოლო პარტიულ მუშაობაში ყურადღება მიექცა ორგანიზატორულ მუშაობას კოლმეურნეთა მასებში წარმოების აღმავლობისათვის, კოლმეურნე გლეხობის დასარაზმავად ამ ამოცანების შესრულებისათვის. ამ გარდაქმნამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეღვიძებინა კოლმეურნეთა მასების შემოქმედებითი ინიციატივა, დააყენა საბჭოთა ხელისუფლების რაიონული ორგანოები და პარტიული ორგანოები წარმოებასთან ახლოს, კანცელარიისაგან მოშორებით.

მეხუთე, ყველაფრის საფუძველი, როგორც სურსათით ჩვენი ქვეყნის მომარაგების საქმეში, ისე მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მათ შორის მეცხოველეობისა და ტექნიკური კულტურების აღმავლობის საქმეში არის მარცვლეულის წარმოების გადიდება, ურომლისოდაც არ შეიძლება უზრუნველვყოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა და ტექნიკური კულტურების განვითარება. კოლმეურნეებს რომ პური არ მივცეთ, ისინი ვერ მოიყვანენ ბამბასა და სხვა კულტურებს. ამიტომ ძველსახნავ მიწებზე მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, რაც დიდ ვადებს მოითხოვს, მარცვლეულის წარმოებაში დაუყოვნებლივ და მთავარ დამხმარე ძალად წამოყენებული იყო ყამირი მიწების ათვისება უმოკლეს ვადაში. სამ წელიწადში ათვისებულია 35,5 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწები, რომლებიც წინათ ცარიელი იყო.

ხედავთ, ამხანაგებო, როცა ჩვენ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ, დარწმუნებული ვიყავით, რომ სწორ გადაწყვეტილებას ვიღებდით. გავიდა სამ წელიწადზე ცოტა მეტი ხანი და ამ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ცხოვრებამ პრაქტიკულად შეამოწმა. სასიხარულოა, რომ ცხოვრებამ დაადასტურა სისწორე ჩვენი პარტიის ამ ისტორიული გადაწყვეტილებებისა სოფლის მეურნეობის დარგში, მისი ჩამორჩენის ლიკვიდაციის დარგში.

1956 წელი სხვა წინანდელი წლებისაგან იმით განსხვავდება, რომ მან მთავრობის აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე მეტად დიდი გამარჯვებები მოგვიტანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, განსაკუთრებით მარცვლეულის, ბამბის, რძის წარმოების მთელ ფრონტზე.

ამ დღეებში ლენინის ორდენი გადაეცათ ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციის მთელ რიგ ოლქებსა და მხარეებს მარცვლეულის წარმოებაში უდიდესი წარმატებებისათვის. უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებმაც მიიღეს ლენინის ორდენი დიდი წარმატებებისათვის მებამბეობაში, ლენინის ორდენი გადაეცა ყირგიზეთის რესპუბლიკასაც მებამბეობასა და მეცხოველეობაში წარმატებებისათვის, ხოლო დღეს ჩვენი მთავრობის ნებით, უმაღლესი საბჭოს ნებით, ლენინის ორდენს იღებს თურქმენეთის რესპუბლიკაც წარმატებებისათვის მებამბეობასა და მეცხოველეობაში. (მქუხარე ტაში). ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან აგრეთვე ვორონეჟისა და მოსკოვის ოლქები რძის წარმოების აღმავლობისათვის.

რატომ არ ვიძლეოდით ორდენებს უკანასკნელ წლებში? იმიტომ, რომ არაფერი იყო გაკეთებული, რისთვისაც უნდა მიგვეცა. ახლა კი 1956 წელს პირველი დიდი წარმატებანი მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობის გადამწყვეტ დარგებში და ეს წარმატებანი მატერიალური შედეგია იმ იდეებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენი პარტიის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში.

ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული, მაგრამ ძლიერ ბევრი რამ გაკეთდა.

ჩვენ შესამჩნევი წარმატებანი მოვიპოვეთ 1956 წელს აგრეთვე ხორცის წარმოებაში, განსაკუთრებით უკრაინის სს რესპუბლიკაში, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, კრასნოდარის მხარესა და ზოგიერთ სხვა ოლქსა და მხარეში, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი სხვა ოლქი და რესპუბლიკა ცოტათი წავიდნენ წინ, კერძოდ, ხორცის წარმოების გადიდებაში, და ამ ოლქებსა და რესპუბლიკებში მოთხოვნილება ხორცზე უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე მათი წარმატებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში, და ამიტომ სახელმწიფოს ხორცი ჯერ კიდევ არ ჰყოფნის.

უნდა ვიფიქროთ, რომ, გადავწყვიტეთ რა მარცვლეულის პრობლემა და გავზარდეთ რა რძის წარმოება, ახლა უფრო ჩქარა გადავჭრით ხორცის წარმოების გადიდების პრობლემას, რათა ჩვენს ქვეყანაში იგი საყოფად იყოს.

ამხანაგებო! თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ტერიტორიის სიდიდით აღემატება ევროპის ბევრ სახელმწიფოს, ხოლო საბჭოთა კავშირში მეხუთე ადგილი უკავია. როგორც ხედავთ, ეს ძალიან დიდი სახელმწიფოა ტერიტორიით, როცა რუკას უყურებ, ერთბაშად გრძნობ, რომ სოლიდური სახელმწიფოა, ღმერთმა ყველას მისცეს ასეთი ტერიტორია (ტაში), ნახევარ მილიონ კვადრატულ კილომეტრზე ცოტა ნაკლებია. თქვენ ბევრი კარგი მიწა გაქვთ, მზეც უხვად გაქვთ, შეიძლებოდა გესესხებინათ იგი სხვა რესპუბლიკებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ, მაგრამ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ეს ჩვენს ძალებს აღემატება, აღმოჩენილი არ არის საშუალება მზის სხივების გადასატანად, რათა თურქმენეთმა ასესხოს ისინი მოსკოვს, ვოლოგდას ან არხანგელსკს. თქვენ არ გყოფნით წყალი, მაგრამ ეს უიმედო მდგომარეობა როდია. თავისუფალი ადამიანის თავისუფალი შრომა ბევრ რამეს მოიპოვებს. ხოლო თურქმენეთში შეიძლება და საჭიროც არის ვიშოვნოთ მიწიდან წყალი. თქვენ უკვე დაიწყეთ დიდი ყარაყუმის არხის მშენებლობა, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ ამუ-დარიიდან წყალი გაიყვანოთ ჩარჯოუსა და მარის ოლქებში.

ამ არხის მშენებლობის პირველი რიგი ძირითადად უნდა დამთავრდეს 1958 წელს. ეს არხი შექმნის შესაძლებლობას ერთიორად გადიდდეს სარწყავი მიწების ნათესი ფართობები მარის ოლქში. წარმოებს წყალსაცავების მშენებლობა მურგაბში, დასახულია — ტეჯენში და აშხაბადის ახლოს. ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, როცა გაქვს ტექნიკა და იჩენ უნარსა და ინიციატივას.

თქვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბევრია მეცხვარეობის განვითარებისათვის გამოსადეგი მიწა. ამხანაგებმა ბაბაევმა და სარიევმა გვიამბეს, რომ რესპუბლიკას შეუძლია პირველი ადგილი დაიკავოს კრაველის წარმოებაში.

ბამბის ხარისხის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ ყველა სხვა რესპუბლიკას გაუწიოთ კონკურენცია იმიტომ, რომ თქვენში კარგად ხარობს წმინდა გრძელბოჭკოიანი ბამბა. ეს ამხანაგებმა მითხრეს და მათი მჯერა, თუმცა ზოგჯერ ადამიანი თავისაზე გატაცებით, მიკერძებით ლაპარაკობს, რომ მარის ოლქში გრძელბოჭკოიანი ბამბა უკეთესია, ვიდრე ტაჯიკეთში. (ტაში). არ ვიცი, დაეთანხმებიან ტაჯიკები ამას თუ ეცდებიან თვითონ მოიყვანონ უკეთესი ბამბა, მაგრამ ასეთი შედარება უნდა მოვახდინოთ. ამრიგად, ხარისხის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ მოიყვანოთ არა უარესი, არამედ უკეთესი ბამბა საბჭოთა კავშირში, ხოლო კრაველის წარმოებაში პირველი ადგილი დაიკავოთ. კრაველი და მატყლი აგრეთვე მეტად ესაჭიროება მოსახლეობას.

როცა ვეცნობოდი თურქმენეთის ეკონომიკის ზრდის ციფრებს, თვალში მეცა ასეთი ფაქტი: 1913 წელთან შედარებით ხორბლის ნათესი ახლა თურქმენეთში ერთისამად შემცირდა, ხოლო ბამბის ნათესი ერთისამად გადიდდა. რით ცოცხლობს მოსახლეობა? ბამბით ხომ არ იკვებება, იგი ხორბლით იკვებება და ხორბალი კიდევაც ყოფნის. ეს აიხსნება შრომის სწორი განაწილებით ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ რაიონებს, სხვადასხვა რესპუბლიკებს შორის. ყამირ მიწებზე მარცვლეული მოჰყავთ არა მარტო თავისთვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და თქვენი რესპუბლიკისთვისაც, რომელსაც ბამბა მოჰყავს. აი რატომ ვითარდება ასე მტკიცედ მებამბეობა. კოლმეურნეებმა იციან, რომ ხორბალს უეჭველად მიიღებენ. თუ პირველ წლებში ზოგ ვინმეს ეეჭვებოდა ეს, ახლა ეს ეჭვი გაქრა. სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ეკონომიურ რაიონებს შორის შრომის სწორი განაწილება ჰავის, ნიადაგისა და სხვა ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის შრომითი ჩვევების მაქსიმალური გამოყენების ინტერესებისათვის შრომის ნაყოფიერების აღმავლობის და ჩვენი განვითარების ტემპის დაჩქარების უდიდესი წყაროა. ამ დარგში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ მეტი უნდა გავაკეთოთ, რათა მეტი პროდუქცია მივცეთ ჩვენს ქვეყანას.

აი ამიტომ თქვენს ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მებამბეობასა და მეცხვარეობას, ხილისა და ბოსტნეულის მოყვანას, რომლებიც აგრეთვე ესაჭიროება მოსახლეობას.

თურქმენი ხალხის და ყველა თქვენგანის, ვინც ამ სხდომას ესწრება, დღევანდელი სადღესასწაულო განწყობილება სავსებით გასაგებია და მე ვიზიარებ მას თქვენთან ერთად. მაგრამ ჩვენ კომუნისტები და რევოლუციონერები არ ვიქნებოდით, რომ ასეთი დღესასწაული არ გამოვიყენოთ, რათა მთელი ხალხი დავრაზმოთ ახალი საქმეებისათვის, გადავაქციოთ დღესასწაული ტრამპლინად, რომ ახალი ნახტომი გავაკეთოთ წინ. ამისათვის საჭიროა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს, და ყოყოჩობის გრძნობის ნაცვლად უნდა განვავითაროთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის კომუნისტური გრძნობა. რაც უფრო ძლიერია პარტიული და საბჭოთა რეჟიმი, მით უფრო გაბედულად უნდა გააკრიტიკოს მან თავისი ნაკლოვანებანი, იმიტომ რომ ეს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებაა. კრიტიკა არა იმის კრიტიკისა და გაბიაბრუებისათვის, რაც გაკეთდა და რაც კეთდება, როგორც ამას ცდილობენ ჩვენი მტრები, არამედ კრიტიკა გამოსწორებისათვის, წინსვლისათვის — სწორედ ეს არის ჩვენი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

თურქმენმა ხალხმა ლენინის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით უნდა დაისახოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის ახალი ამოცანები.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სწორად გადავწყვიტოთ ეს ამოცანები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო არ არის ამერიკაში წასვლა. თქვენ არ გესაჭიროებათ იქ წასვლა, თუნდაც იმიტომ, რომ იქ მებამბეობა ნაკლებ მოსავალს იძლევა. საერთოდ მე სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის მომხრე ვარ, ყოველ მოგზაურობას სარგებლობა მოაქვს, მაგრამ ამერიკელები არც თუ ხალისით გვეპატიჟებიან. შეიძლება საჭირო იყოს წარჩინებულ მეცნიერებს ვკითხოთ: როგორ განვავითაროთ მებამბეობა თურქმენეთში? მეცნიერები ყოველთვის გვეხმარებიან, მაგრამ არის ამ ამოცანების გადაწყვეტის სხვა შესაძლებლობაც. შეიძლება საჭირო იყოს ტაჯიკეთში ან უზბეკეთში წასვლა, სადაც ბამბა მეტ მოსავალს იძლევა? თქვენ იქ ყოფილხართ და კვლავაც იქნებით. მაგრამ საჭიროა უწინარეს ყოვლისა წასვლა მარის ოლქის კოლმეურნეობაში, რომელსაც „ლენინიზმი“ ეწოდება. იშვიათად ხდება ხოლმე, რომ ასე კარგად არის შეხამებული სახელწოდება და შინაარსი. სწორედ რომ ეს კოლმეურნეობა ლენინიზმის განსახიერებაა. მოვიყვან რამდენიმე მონაცემს. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ უკვე ცამეტი წელია მუშაობს ამხ. ა. კანდიმოვი, რომელიც დიდი ხანია მუშაობს, მაგრამ ჯერ არ გაყოყოჩებულა. (სიცილი დარბაზში). ამ კოლმეურნეობაში შვიდასი ჰექტარი უკავია გრძელბოჭკოიანი ბამბის ნათესს და კოლმეურნეობამ მიაღწია იმას, რომ ჰექტარზე მოჰყავს 31 ცენტნერი ნედლი ბამბა, მაშინ როცა თურქმენეთის რესპუბლიკაში საშუალოდ 1956 წელს ჰექტარზე 19,5 ცენტნერი წმინდაბოჭკოიანი ბამბა მოიკრიფა.

ამავე კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადაში, სადაც ბრიგადირად ამხ. იაზმურად ორაზსახატოვი მუშაობს, 80 ჰექტარი ფართობი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 41 ცენტნერი ნედლი ბამბა მოვიდა. ამ კოლმეურნეობის კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი საშუალოდ, მხედველობაში არ ვიღებ საკარმიდამო მეურნეობის შემოსავალს, კაცზე საშუალოდ 12 ათას მანეთს შეადგენს. ამ კოლმეურნეობაში საშუალოდ შრომადღის ღირებულება ოცდაათი მანეთი, ხოლო მეხუთე ბრიგადაში — ორმოცდაათი მანეთი თვითეულ კოლმეურნეზე.

ბრიგადირმა ამხ. იაზმურად ორაზსახატოვმა 1956 წელს 62 ათასი მანეთი მიიღო, ესე იგი რამდენადმე მეტი, ვიდრე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, და მეტი, ვიდრე თურქმენეთის რესპუბლიკის რომელიმე მინისტრმა. ასეთი ანაზღაურება მან დამსახურებისამებრ მიიღო თავისი მუშაობისათვის.

ამ კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა გვითხრეს, რომ მათ სურთ მიმდინარე წელსვე გადააჭარბონ ძველ რეკორდებს და დაამყარონ ახალი რეკორდები, ბამბის მოსავლიანობა გაადიდონ კიდევ სამი ცენტნერით ჰექტარზე.

ეს ერთადერთი კოლმეურნეობა როდია. მეზობელი კოლმეურნეობა ხრუშჩოვის სახელობისა ცოტათი ჩამორჩება კოლმეურნეობა „ლენინიზმს“, მაგრამ სურს დაეწიოს მას.

აი სად უნდა ვეძებოთ იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ. იბადება კითხვა, სად არის ამ წარმატებათა გაგების გასაღები, საიდან გაჩნდა ეს წარმატებანი, სად არის ის ბერკეტი, რომლის მობრუნებითაც შეიძლება ყველა კოლმეურნეობა ავამაღლოთ მოწინავე კოლმეურნეობათა დონემდე. ეს სერიოზული საკითხია. თუ შევიგნებთ იმ პირობებს, რომლებიც მოწინავე კოლმეურნეობათა წარმატებას განსაზღვრავენ, შევძლებთ გამოვიყენოთ ისინი რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში.

მიწა ხომ თითქმის ერთნაირია მარის ოლქში მაინც. წყალმომარაგება ერთნაირია, ხალხიც იგივე თურქმენი ხალხია. საგადასახადო პოლიტიკა ერთნაირია, მანქანებით მომარაგება ერთნაირია, ფასები ერთნაირია, ანაზღაურების სისტემა ერთნაირია, ე. ი. მთელი ობიექტური პირობები ერთნაირია ყველა კოლმეურნეობისათვის, შედეგები კი სხვადასხვა. მაშ რა ხდება? მე მგონია, აქ მთავარია კოლმეურნეთა ცხოვრებისა და მუშაობის ორგანიზაცია. მე მგონია, რომ ძირითადი ბერკეტი, რომელიც უნდა მოვაბრუნოთ, რათა შევძლოთ, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ამ კოლმეურნეობის დონემდე ავიყვანოთ, არის ხელმძღვანელი კადრების სწორი შერჩევა, მათი სწორი განაწილება; საჭიროა უნარიანი ორგანიზატორული მუშაობა მასებში, მუდმივი კავშირი მასებთან,

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ზეიმი ორდენოსანი თურქმენეთის დედაქალაქში

(დასასრული)

მათზე დაყრდნობა და არა კანცელარიულობაზე, მათთან ლაპარაკის უნარი, მათი გაგების უნარი (საჭიროა გესმოდეთ მათი და საჭიროა, რომ მათაც ესმოდეთ თქვენი), შრომის დისციპლინის დაცვა შეგნებულობასთან შეხამებით, როცა მასები რწმუნდებიან, რომ ხელმძღვანელთა სიტყვა და საქმე ერთია; საჭიროა მხარი დაუჭიროთ ნოვატორობას, რათა ვიაროთ წინ, საჭიროა აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი და ვებრძოლოთ უძრაობას.

აი, ჩემი აზრით, რა არის იმის გაგების გასაღები, თუ თანაბარ ობიექტურ პირობებში კოლმეურნეობა „ლენინიზმი" რატომ ასე წარმატებით მუშაობს, და რა უნდა გააკეთონ სხვა კოლმეურნეობებმა, რათა თურქმენეთის რესპუბლიკაში გადიდდეს ბამბის მოსავალი ახლანდელ ფართობებზე 50 პროცენტით. საჭიროა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ იმას, რაც გასულ წელს ჰქონდა კოლმეურნეობა „ლენინიზმს". ხოლო იმისათვის, რომ ახლანდელ ფართობებზე გავაორკეცოთ ბამბის მოსავალი და ამით გავადიდოთ კოლმეურნეთა შემოსავალი, უნდა მივაღწიოთ მოსავლიანობის იმ დონეს, რომელსაც მიაღწია გასულ წელს ამ კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადამ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა წარმატებას მიაღწიეს მასებზე დაყრდნობის მეოხებით, მასებში ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით ნაცვლად კანცელარიულ-ბიუროკრატიული მიმოწერისა.

ამ მხარეს ხაზგასმით აღვნიშნავ იმიტომ, რომ თავის დროზე ლენინსაც არაერთხელ ულაპარაკნია მასებში მუშაობის, მასებთან კავშირის მნიშვნელობაზე, როგორც წარმატებითი წინსვლის მთავარ ფაქტორზე. ამიტომ ნება მიბოძეთ დავიმოწმო ლენინი. მას არაერთხელ უთქვამს, რომ კომუნიზმის საქმის წარმატებისათვის მთავარი ბერკეტია მასების მხარდაჭერა, მათი შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინება. იგი ამბობდა: „სოციალიზმი არ იქმნება ზევიდან ბრძანებით. მის სულს ეუცხოება კაზიონურ-ბიუროკრატიული ავტომატიზმი; ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა". (ლენინი, გამოც. მე-4, ტომი 26, გვ 334).

მეორე ადგილას ლენინი ამაზე ასე ამბობს: „ჩვენი წარმოდგენით სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სჩადიან". (ლენინი, გამოც. მე-4, ტომი 26, გვ. 297).

ლენინი აგრეთვე ამბობდა, რომ „მშრომელთა მასა ჩვენს მხარეზეა. ამაშია ჩვენი ძალა. ამაშია წყარო მსოფლიო კომუნიზმის უძლეველობისა". (ლენინი, მე-4 გამოც., ტ. 30, გვ. 60).

ლენინის ეს გენიალური აზრები სოციალიზმის აშენების საქმეში მასების როლისა და მნიშვნელობის შესახებ გვინათებენ კომუნიზმის გზას. მასების განვითარება და ინიციატივა და მასებთან კავშირი ის მთავარი საქმეა, რომელიც კიდევ საჭიროა იმისათვის, რომ კოლმეურნეთა მასები უფრო მეტად ჩაებან მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

როცა კოლმეურნეობა „ლენინიზმის", აგრეთვე მისი მეზობელი ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ცხოვრებას ეცნობი, უნებლიეთ გებადება აზრი დემოკრატიის ცნების შესახებ. თქვენ იცით, რომ ამ უკანასკნელ ხანს ამერიკელმა იმპერიალისტებმა რადიოსა და პრესის საშუალებით განავითარეს გააფთრებული პროპაგანდა ბურჟუაზიული „დემოკრატიის" უპირატესობის შესახებ. თუ როგორია დემოკრატია ამერიკაში, ჩანს იმით, რომ იქ საუკეთესო კომუნისტებს დევნიან, საპყრობილეებში ჩაამწყვდიეს, რომ ყველა მოსამსახურე შეამოწმეს, რათა გამოერკვიათ მათი ლოიალობა, გამოერკვიათ, ხომ არ იზიარებენ ისინი კომუნისტურ იდეებს. და ეს დემოკრატიად მიაჩნიათ. ისინი დემოკრატიაზე რომ ლაპარაკობენ, ცდილობენ თავგზა აუბნიონ ჩამორჩენილ ადამიანებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ეს ჩანს უნგრეთის მაგალითით, სადაც წვრილბურჟუაზიული ელემენტები, ჩამორჩენილი ელემენტები, მუშათა კლასის მერყევი ელემენტები წამოეგნენ ამ პროპაგანდის ანკესზე. ყოველდღე რადიოთი უნგრულ ენაზე პროპაგანდას უწევდნენ ნაქებ ბურჟუაზიულ დემოკრატიას და უნგრელ მუშათა ერთი ნაწილი შეცყოყმანდა და აჰყვა მტრის პროპაგანდას.

მაგრამ რა ფასი აქვს დასავლეთ ევროპის დემოკრატიას, რომელიც იმით ამოიწურება, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ საარჩევნო მოტყუების, ყალბი აგიტაციის, ამომრჩეველთა და მთელი საარჩევნო ტექნიკის მოსყიდვის, არჩევნების გაყალბების პირობებში, ამომრჩევლებს ისღა რჩებათ, რომ ამა თუ იმ ბურჟუაზიული კანდიდატის სასარგებლოდ ბიულეტენი ჩააგდონ საარჩევნო ყუთში, ხოლო შემდეგ ქედი მოიხარონ კაპიტალისტის ბატონობის წინაშე. ეს ამომრჩეველი ვერ შეცვლის ვერც რეჟიმს, ვერც პოლიტიკას, თუმცა ფორმალურად მისთვის უზრუნველყოფილია სრული თავისუფლება.

როცა ხედავ, თუ რა ხდება ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებში, და როცა ამას ადარებ ნაქებ „დემოკრატიას", რომელზეც ამერიკელები და ინგლისელი და ფრანგი რეაქციონერები წერენ, როცა სოციალისტურ დემოკრატიას, რომელიც ამ კოლმეურნეობებში არსებობს, ადარებ იმას, რაზეც წერენ, ნათლად ხედავ, თუ რა განსხვავებაა აქ და რომ ეს ცნებები ერთიმეორისაგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.

გლეხთა უმრავლესობა ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში მიჯაჭვულია მიწის პატარა ნაჭერზე, რომელიც არა მარტო იძულებს მათ უბადრუკ, გაჭირვებულ მატერიალურ ცხოვრებას, არამედ ამასთანავე საშუალებას უსპობს გამოიჩინონ თავიანთი ტალანტი და ნიჭი ამ თავისი ერთი ნაჭერი მიწის ფარგლებს გარეთ. განა შეიძლება, რომ ასეთ ფარგლებში ტალანტი გაიფურჩქნოს? ახლა აიღეთ ჩვენი კოლმეურნეობები, რომელთა მეურნეობების ოდენობა ხშირად აღემატება ამერიკის მსხვილ კაპიტალისტურ ფერმებს. აქ უფართოესი ასპარეზია იმისათვის, რომ ყოველმა კოლმეურნემ, რომელიც მიჯაჭვული კი არ არის ნაჭერ მიწაზე, არამედ მთელი საკოლმეურნეო მიწის საზოგადოებრივი მესაკუთრეა, ყოველმხრივ გამოავლინოს თავისი ტალანტი. თვითეული რიგითი კოლმეურნე შეიძლება გახდეს მერგოლური, ბრიგადირი, კოლმეურნეობის გამგეობის წევრი, თავმჯდომარე და ამ სარბიელზე, ამ ფართო ასპარეზზე ცხადყოს, თუ რა შეუძლია საბჭოთა ადამიანს, რომელიც სოციალიზმის პირობებში ცხოვრობს. კოლმეურნეებს შესაძლებლობა აქვთ გადაწყვიტონ კოლმეურნეობის ბედი. სწორედ ეს უზრუნველყოფს ხალხის ტალანტების აყვავებას.

აი როგორია საკოლმეურნეო დემოკრატიის ფორმები. სამწუხაროდ, ამ ფორმებზე ჩვენ ცოტა რამეს ვწერთ.

კოლმეურნეთა საერთო კრებები იმართება წელიწადში ორ-სამჯერ. აქ ირჩევენ გამგეობას, წყვეტენ კოლექტიური ხელმძღვანელობის გეგმებს. ბოლოს, საერთო კრებებს შორის პერიოდში კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობის შესამოწმებლად, კოლმეურნეობათა მუშაობის ცალკეული საკითხების გადასაჭრელად ირჩევენ რწმუნებულებს. ეს თავისებური საკოლმეურნეო პარლამენტია, რომელსაც ერთი წლით ირჩევენ. კოლმეურნეობებში არის აგრეთვე პარტიული ორგანიზაციები, სადაც კოლმეურნეებს შეუძლიათ თავი გამოიჩინონ, და კომკავშირული ორგანიზაციები, ადგილობრივი საბჭოები, მათი კომისიები. სამწუხაროა, რომ ჩვენი პროპაგანდისტები საერთაშორისო პროპაგანდისათვის ნაკლებად იყენებენ სოციალისტური დემოკრატიის ჩვენს მდიდარ ფორმებს, რაც არ არის კაპიტალიზმის არც ერთ ქვეყანაში.

შევიკრიბეთ რა დღესასწაულის ამ საზეიმო დღეს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ დემოკრატიის ეს უმდიდრესი ფორმები სრულვყოთ და კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. უნდა გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზატორული მუშაობა, რათა კრიტიკა და თვითკრიტიკა ვითარდებოდეს ყველა დარგში, რათა ნიჭიერ ადამიანებს უფრო გაბედულად ვაწინაურებდეთ. ზოგჯერ ჩვენში ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა უძრაობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც ყოველთვის არის იქ, სადაც სუსტდება მასებთან კავშირი. ადგილობრივი საბჭოების მუშაობა უნდა გამოცოცხლდეს. ზოგან მათ მშვიდად სძინავთ. საჭიროა აქტიურ მუშაობაში ჩავაბათ ასეულ ათასობით ნიჭიერი ადამიანი, ზოგი — ერთ კომისიაში, ზოგი — მეორეში, ზოგიც — კოლმეურნეობის გამგეობაში და ა. შ. ეს დიდ როლს შეასრულებს კომუნიზმის გამარჯვების დაჩქარების საქმეში. (ტაში).

ამხანაგებო, ვამთავრებ რა ჩემს მისალმებას, არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა თურქმენი ხალხის წარმატებებზე კულტურის დარგში.

თურქმენეთის რესპუბლიკის მაგალითებით შეიძლება ცხადვყოთ ლენინური ეროვნული პოლიტიკის მთელი რევოლუციური მნიშვნელობა. თუ თურქმენეთს შევადარებთ მეზობელ ქვეყნებს — ირანსა და ავღანეთს, უნდა ვთქვათ, რომ 36 წლის წინათ იქაურ და აქაურ გლეხთა მდგომარეობაში არავითარი განსხვავება არ იყო. ახლა კი ორი სხვადასხვა სამყაროა, ორი სხვადასხვა საფეხურია.

სიღარიბე და ჩამორჩენილობა თურქმენი ხალხისა, რომელიც მეფის კოლონიური რეჟიმის ბატონობის ქვეშ ცხოვრობდა და რომელსაც საკუთარი ხანები და ბაები ჩაგრავდნენ, კარგად დაახასიათა თურქმენმა პოეტმა-პატრიოტმა და ჰუმანისტმა მახტუმკულიმ:

სიღატაკისაგან ბევრს სიცოცხლე
ისე აქვს მწარე,
რომ მას ათასჯერ
სჯობს სიზმარი
მძიმეზე მძიმე.
ზოგს კი სადილად
აქვს მარტოდენ
პური გამხმარი,
გემრიელ ლუკმას ვერ ეღირსა,
ვერც ხედავს იმედს.

მაგრამ თურქმენ ხალხს არ სურდა შერიგებოდა ამას, იგი უკეთეს და ბედნიერ ცხოვრებაზე, კულტურულ ცხოვრებაზე ოცნებობდა. მან შექმნა თავისი თურქმენული ანდაზა, რომელიც ამბობს: „იღუპება ის ხალხი, რომელიც არ სწავლობს, ხოლო მოწინავეა ის ხალხი, რომელიც სწავლობს". (ტაში).

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მომენტში, ესე იგი 1920 წლის დამდეგს, თურქმენი ხალხი ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად გლეხი ხალხი იყო, არ ჰყავდა თავისი ბურჟუაზია, თავისი პროლეტარიატი, თავისი ინტელიგენცია. იგი იყო წერა-კითხვის უცოდინარი და გაჭირვებული, მაგრამ კეთილშობილი თავისი სულისკვეთებით, თავისი ოცნებით.

და აი მოკლე ისტორიულ პერიოდში, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების პერიოდში თურქმენმა ხალხმა, ცხოვრობდა რა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან თანამეგობრობით, თავისი არსებობის მანძილზე პირველად მიიღო თავისი სახელმწიფოებრიობა, მიაღწია თავისი ეკონომიკისა და კულტურის ახლანდელ აყვავებას.

ახლა თურქმენეთის რესპუბლიკას ჰყავს თავისი კულტურული მუშათა კლასი, თავისი მრავალრიცხოვანი სახალხო ინტელიგენცია უმაღლესი და საშუალო განათლებით, თავისი მეცნიერები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები, ცარიზმის დროს კი, ამბობენ უმაღლესი განათლების მქონე არც ერთი თურქმენი არ ყოფილა. საშუალო განათლების მქონე რამდენიმე ათეული თურქმენი იყო.

ახლა კი რესპუბლიკაში მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე შვიდი ათასზე მეტი თურქმენი. (ტაში).

ახლა გვყავს სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, რომელიც დაუფლებულია აგროტექნიკური მეცნიერების საფუძვლებს და ისე ოსტატურად მოჰყავს ბამბა თავის მშობლიურ მიწაზე, ისე უნარიანად ავითარებს მეცხვარეობას რესპუბლიკის თითქოსდა უდაბურ სივრცეებში, რომ ჩვენს აღტაცებასა და სიხარულს იწვევს.

ყველაზე შესანიშნავი ისიც კი არ არის, რომ რესპუბლიკაში განვითარდა საკუთარი მრეწველობა, განსაკუთრებით ნავთობის მრეწველობა, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ ის, რომ მოკლე ვადაში თურქმენი ერი კულტურული გახდა, თავისი კულტურით ისე სწრაფად განვითარდა, რომ გაუტოლდა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხს, რომლებიც წინათ უფრო კულტურული და უფრო განვითარებული იყვნენ. თურქმენი ერი განვითარდა სწორედ ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახორციელებს. თურქმენმა ხალხმა მოკლე ვადაში აღმოფხვრა თავისი ჩამორჩენა სხვა ხალხებისაგან და თავისი კულტურით და თავისი ცხოვრების დონით უკვე გაუტოლდა მათ. ამით შეგიძლიათ იამაყოთ არა მარტო თქვენ, არამედ ყველა საბჭოთა ადამიანს. (ტაში).

თქვენი მიღწევები არა მარტო თქვენი ხალხის ღონისძიებათა ნაყოფია, არამედ ჩვენი პარტიის, საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა ნაყოფიც არის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფია.

დღეს, თურქმენი ხალხის დღესასწაულის დღეს, გისურვებთ და თქვენთან ერთად იმედს გამოვთქვამთ, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარების საქმეში, ხალხის მასების მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის საქმეში თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, დაეყრდნობა რა წარსულის მიღწევებს, წინ წავა კიდევ უფრო სწრაფად, კიდევ უფრო წარმატებით. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

★ ★ ★

შემდეგ გამოდიან ტაშაუზის ოლქის ილიალის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. რ. ატაევი, გაერთიანება თურქმენნავთობის უფროსი ამხ. მრავიანი, მარის ოლქის საგარჩაგის რაიონის კოლმეურნეობა „მოსკოვის" თავმჯდომარე ამხ. დ. მამედკულიევა, თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ჩარიევი და სხვები. ისინი გულიდან აღმომხდარი სიტყვებით აღუთქვამენ პარტიასა და მთავრობას, რომ ყოველი ღონისძიებით გამრავლებენ წარმატებებს შრომაში, დაუცხრომლად განამტკიცებენ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. სესიაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს მოძმე ხალხთა წარმომადგენლებმა: უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. რაზიმბაბაევმა, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კახაროვმა, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კონდუჩალოვამ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგემ ამხ. მამედოვმა, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კრიუკოვამ.

სესიაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ბაბაევმა.

სესიის მონაწილეებმა დიდი ერთსულოვნებით მიიღეს მისალმება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ნ. ა. ბულგანინი სტალინაბადში

სტალინაბადი, 21 იანვარი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, რომელიც სტალინაბადში იმყოფება, დღეს კვლავ ეცნობოდა რესპუბლიკის დედაქალაქს. დილით იგი ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ტ. ულჯაბაევთან, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. დოდხუდოევთან, პარტიის სტალინაბადის საქალაქო კომიტეტის მდივანთან ა. ჰასანოვთან, სტალინაბადის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარესთან ჰ. სალიბაევთან ერთად იყო სტალინაბადის სამედიცინო ინსტიტუტში. საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულთბილად შეხვდნენ სტუდენტები, მასწავლებლები. ინსტიტუტის დირექტორმა ი. რახიმოვმა ამხ. ბულგანინს უამბო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის, პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შესახებ. ნ. ა. ბულგანინი გაეცნო ნორმალური ანატომიის კათედრის მუშაობას, დაათვალიერა ანატომიური მუზეუმი.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა ინახულა ქვემო ვარზობის ჰესის სათავო ნაგებობა, გაეცნო მის მუშაობას.

დიდხანს დაჰყო ამხ. ბულგანინმა ისტორიულ-მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მხურვალე შეხვედრა მოუწყეს ნ. ა. ბულგანინს ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა. უნივერსიტეტის რექტორმა ს. რაჯაბოვმა უამბო მას კათედრების მუშაობაზე, სტუდენტთა ყოფა-ცხოვრებასა და სწავლაზე. საუბრის შემდეგ ამხ. ბულგანინმა მოკლე სიტყვით მიმართა სტუდენტ ახალგაზრდობასა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას. მან მოუწოდა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გულმოდგინედ ისწავლონ, გახდნენ კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განათლებული აქტიური მშენებლები.

ამ დღეს ნ. ა. ბულგანინი იყო აგრეთვე ტაჯიკეთის ფირდოუსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. სამკითხველო დარბაზში იგი ესაუბრა ახალგაზრდობას, მოაგონა მას, რომ მოვალეა მხოლოდ ფრიადზე ისწავლოს. ბიბლიოთეკის მუშაკებმა ნ. ა. ბულგანინს უძღვნეს ტაჯიკი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა პატარა ბიბლიოთეკა.

ამხ. ბულგანინმა დაათვალიერა დიდი გისარის არხის სათავო ნაგებობა.

დღის 3 საათზე სტალინაბადის საფეიქრო კომბინატში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. იგი მიეძღვნა მაღალ ჯილდოს, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა მებამბეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

მიტინგის დაწყებამდე ნ. ა. ბულგანინმა დაათვალიერა კომბინატის საამქროები, ესაუბრა მუშებს.

ქარხნის ვრცელ მოედანზე შეიკრიბნენ საფეიქრო კომბინატის ფაბრიკების, ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის ათასობით მუშა, სტალინაბადის საფეიქრო კომბინატის მეორე რიგისა და ქალაქის სხვა საწარმოთა მშენებლები. ლამაზად მორთულია იმპროვიზებული ტრიბუნა.

იწყება მიტინგი. მგზნებარე აღფრთოვანებული სიტყვები წარმოთქვეს სართავი ფაბრიკის ოსტატმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა საიდა აზადოვამ, ფაბრიკის ოსტატის თანაშემწემ ვ. კლოვსკიმ, საფეიქრო კომბინატის დირექტორმა დ. ხოლმატოვმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა. მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ მას.

— მე აქ ჩამოვედი იმისათვის, რომ ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის გადამეცა ლენინის ორდენი. ამ ორდენში არის თქვენი რესპუბლიკის თვითეული მშრომელის ღონისძიების ნაწილი, მაშასადამე, თქვენი შრომის ნაწილიც. ნება მიბოძეთ მოგილოცოთ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოს გადმოცემა.

ამხანაგი ბულგანინი აღნიშნავს ტაჯიკი ხალხის შესანიშნავ დამსახურებას მებამბეობის განვითარებაში, ლაპარაკობს ბამბის დიდ მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

— რესპუბლიკამ კარგად იმუშავა შარშან, — აღნიშნავს ამხ. ბულგანინი, — შეასრულა გეგმა, მისცა ჩვენს ქვეყანას ბევრი ბამბა, განსაკუთრებით უმაღლესი ხარისხისა. თქვენ სხვებზე უკეთ იცით, თუ რა არის ბამბა. ბამბისაგან კეთდება ის, რაც საჭიროა თვითეული ადამიანისათვის, — ტანსაცმელი. თქვენ სწორად უწოდებთ ბამბას „თეთრ ოქროს". იგი მართლაც ოქროზე იყიდება საერთაშორისო ბაზარზე. მეტ წილ ქვეყნებს არა აქვთ თავიანთი ბამბა და იძულებული არიან იყიდონ იგი. სიამოვნებით გეტყვით, რომ ჩვენც ვყიდულობდით მას. სწორედ ამიტომ ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა რაც შეიძლება მეტი ბამბა გვქონდეს. შარშან თქვენ, ისევე როგორც თქვენმა მოძმე მეზობელმა რესპუბლიკებმა, ღირსეული წვლილი შეიტანეთ ჩვენი საფეიქრო მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეში. მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი — თქვენმა რესპუბლიკამ, ისევე როგორც შუა აზიის მეზობელმა მოძმე რესპუბლიკებმა, სამართლიანად მიიღეთ.

ამხ. ბულგანინი ამბობს, რომ ტაჯიკეთის რესპუბლიკა და მისი დედაქალაქი ღირსნი არიან იმისა, რომ აღინიშნოს მათი წარმატებები, მიღწეული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებშიც. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, არ უნდა ავუაროთ გვერდი სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის რესპუბლიკასა და სტალინაბადში.

მაგრამ ყოველი ნაკლი ჩვენი სოციალისტური წყობილების პირობებში შეიძლება აღმოიფხვრას. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ და კვლავაც გააკეთებენ საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, რადგან ჩვენი პარტიის, ჩვენი საბჭოთა მთავრობის მთავარი მიზანია ზრუნვა ადამიანებისათვის, ზრუნვა ჩვენი ხალხისათვის. მთელი პარტია, მთელი მთავრობა მუშაობენ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენი ხალხი კარგად ცხოვრობდეს. მაგრამ ეს არის არა მარტო პარტიისა და მთავრობის, არამედ აგრეთვე ყველა საბჭოთა ადამიანის საქმე. თქვენ თვითონ სჭედავთ თქვენს ბედნიერებას. თუ ჩვენი მებამბეები მაღალი ხარისხის მეტ ბამბას მოგვცემენ უფრო იაფად, თუ ქარხნების კოლექტივები შეასრულებენ გეგმებს, ჩვენი ქვეყანა გაცილებით უფრო მდიდარი და ძლიერი გახდება, ხოლო ადამიანთა ცხოვრება უფრო საამური იქნება. თქვენ აკეთებთ ქსოვილებს — ეს ისეთი პროდუქციაა, რომელზეც, მე ვიტყოდი, გარკვეულად დამოკიდებულია სახელმწიფოს სახე. მოგვეცით რაც შეიძლება მეტი კარგი, ლამაზი ქსოვილები, ამხანაგებო! რაც უფრო მეტ ქსოვილს მოგვცემთ, მით უფრო კარგად ჩაიცვამს ჩვენი ხალხი, მით უფრო ლამაზი იქნება ჩვენი სახელმწიფო.

შემდეგ ამხანაგი ბულგანინი ეხება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. იგი ამბობს, რომ ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა უზრუნველვყოთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, საშუალება მივცეთ საბჭოთა ადამიანებს დამშვიდებით იშრომონ, აშენონ და რაც შეიძლება უფრო სრულად ისარგებლონ ცხოვრების მთელი სიკეთით.

— ჩვენ ახლა მარტონი როდი ვართ ამ ბრძოლაში, — ამბობს ამხ. ბულგანინი. — ჩვენს მხარდამხარ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ყველა ხალხის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის ენერგიულად იბრძვის სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა, რომლებიც წარმოადგენენ მძლავრ მსოფლიო სოციალისტურ სისტემას. მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ჩვენდამი მტრული კაპიტალისტური სახელმწიფოების არსებობა. იმპერიალისტური ქვეყნების მესვეურები, როგორც [illegible] დაგვემუქრებიან, [illegible] მართავენ სოციალიზმის ბანაკის წინააღმდეგ. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე. ჩვენი უცვლელი და თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა დღითიდღე იზიდავს თავის მხარეზე სულ ახალ და ახალ მეგობრებს, რადგან სოციალიზმი, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი პარტიის XX ყრილობამ, მსოფლიო სისტემა გახდა.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. ნ. ა. ბულგანინი ეხება კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის მორიგ ამოცანებს.

— გამარჯვებას ვუსურვებ ჩვენს დიდ საბჭოთა ხალხს, — ამბობს ამხ. ბულგანინი. (მქუხარე ოვაცია, შეძახილები „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ საბჭოთა მთავრობას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", „ვაშა!"). ერთხელ კიდევ მოგესალმებით ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ყველას თქვენ, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დღეს მოხვედით ამ მიტინგზე სტალინაბადის სხვა ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან, და თქვენი სახით სტალინაბადის ყველა მუშას, ყველა მშრომელს.

ამხ. ბულგანინის სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

• • •

დღის ბოლოს ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ჯილდოების გადაცემა. ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. რახმატოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, ხოლო ნ. ა. ბულგანინმა გადასცა ჯილდოები.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო" გადაეცა ორჯონიკიძეაბადის რაიონის კოლმეურნეობა „მოსკოვის" თავმჯდომარეს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ამხ. ქ. ისმაილოვს. ლენინის ორდენი, ოქროს მედალი „ნამგალი და ურო", აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი გადაეცათ სოციალისტური შრომის გმირებს — XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ქ. დუსტოვს, პარტიის რეგარის რაიკომის მდივანს ამხ. ხ. ყურბანოვს, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ამხ. ს. რაჯაბოვასა და სხვებს — სულ 13 კაცს.

36 დაჯილდოებულს გადაეცა ლენინის ორდენი, მათ შორის ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ტ. ულჯაბაევს, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. დოდხუდოევს, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ამხ. ქ. აბდულაევს, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ქ. ბურიევსა და სხვებს. 24 კაცს გადაეცა შრომის წითელი დროშის ორდენი, 12-ს — „საპატიო ნიშნის" ორდენი.

ნ. ა. ბულგანინმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა შემდგომი წარმატებები ცხოვრებასა და მუშაობაში.

ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ტ. ულჯაბაევმა დაჯილდოებულთა სახელით აღუთქვა პარტიასა და მთავრობას, რომ ტაჯიკეთის მშრომელნი გაამართლებენ მაღალ ჯილდოს და უკვე წელს მიაღწევენ ახალ წარმატებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

საღამოს ნ. ა. ბულგანინი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო კონცერტს ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი კრასნოიარსკში ჩავიდა

კრასნოიარსკი, 21 იანვარი. (საქდესი). დღეს აქ თვითმფრინავით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი. შესახვედრად აეროდრომზე შეიკრიბა ათასობით მშრომელი. ბავშვებმა ყვავილები მიართვეს ამხ. კაგანოვიჩს.

ამხ. კაგანოვიჩმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მხურვალედ მიულოცა მხარის მშრომელებს მთავრობის ჯილდო — ლენინის ორდენი. სადღესასწაულოდ მორთული ქუჩებით ამხ. კაგანოვიჩი, რომელსაც მიესალმებიან მშრომელები, მიემართება ქალაქში.

რევოლუციის მოედანზე საბჭოების სახლის შენობის წინ გაიმართა მიტინგი. მიმართა რა მის მონაწილეებს, ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა თქვა:

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ მოგესალმებით და მოგილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს — ორდენს, რომელიც ატარებს ჩვენი დიდი და მხურვალედ საყვარელი მამის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს. კრასნოიარსკის მხარის მშრომელებმა სავსებით დაიმსახურეს ეს მაღალი ჯილდო. თქვენი თავდადებული შრომით თქვენ გარდაქმენით და კვლავ გარდაქმნით თქვენს მხარეს სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავე მხარედ.

თქვენი დამსახურება მარტო ეს როდია. საბჭოთა ხალხს კარგად ახსოვს ბრწყინვალე ფურცელი, რომელიც კრასნოიარსკის მუშებმა და რკინიგზელებმა ჩაწერეს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის გმირული ბრძოლის ისტორიაში, შექმნეს რა 1905 წელს კრასნოიარსკის რესპუბლიკა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლებამ აქ დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ მან როგორც ბრწყინვალე შუქურამ, გაანათა ის გზა, რომლითაც მუშები და გლეხები წავიდნენ იერიშზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა სახელმწიფოს შესაქმნელად. თქვენ, კრასნოიარსკელები, იცავთ მამა-პაპის დიად ტრადიციებს და ახლა სასახელო ფურცელს წერთ კომუნიზმისათვის ჩვენი ბრძოლის ისტორიაში, საკოლმეურნეო წყობილების ისტორიაში, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიაში.

კრასნოიარსკის მხარე ლენინის ორდენს იღებს მიღწეული წარმატებებისათვის. მოვიპოვებთ რა წარმატებებს, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, არასოდეს არ ვყოყოჩობთ, რადგან ვიცით, რომ ჩვენ გვაქვს არა მარტო წარმატებები, არამედ აგრეთვე ნაკლოვანებები და სიძნელეები. გარწმუნებთ, რომ პარტია და მთავრობა დაუღალავად მუშაობენ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ცხოვრება დღითიდღე სულ უფრო საამური და ბედნიერი გახდეს, რომ ყველაფერი, რაც ხალხს სჭირდება, სულ უფრო მეტი იყოს.

ხალხმა იცის, რომ კომუნისტური პარტიის სიტყვა და საქმე ერთია, ამიტომ ჩვენს ხალხს უყვარს პარტია, სჯერა მისი და მიჰყვება მას. ერთხელ კიდევ მხურვალედ, სულით და გულით მოგესალმებით, გისურვებთ ყველას ჯანმრთელობას, ახალ დიდ წარმატებებს ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ ხალხს!

გაუმარჯოს დიად ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით და „ვაშას" შეძახილებით.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ამასწინათ თბილისში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. იგი მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა შეაჯამა შედეგები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისა პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ხალხის მიერ ამ პერიოდში მიღწეული წარმატებები მოწმობენ, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმატებით ხორციელდება. ყველა ეს მიღწევა შედეგია კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებისა და ნიშნავს ახალ წინწადგმულ ნაბიჯს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე.

აღნიშნა რა წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ამასთან ერთად მიგვითითა სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. მკაცრად, პრინციპულად იქნა გაკრიტიკებული სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სახელმწიფო ეკონომიური კომისიის მუშაობა, რომლებიც ღრმად არ სწავლობენ წარმოების ცალკეული დარგების მდგომარეობას, სუსტად არიან დაკავშირებული მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებთან, მხარეებთან და ოლქებთან, უშვებენ შეცდომებსა და ხარვეზებს წარმოების გეგმების განსაზღვრისას, ცუდად ართმევენ თავს თავიანთ მოვალეობებს სახელმწიფო გეგმის შესრულების შემოწმებისას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებში მოცემულია სამეურნეო მშენებლობის დარგში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნათელი პროგრამა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას და მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში მათი როლის გაძლიერებას. ეს საშუალებას გვაძლევს თანმიმდევრულად განვახორციელოთ ლენინური ეროვნული პოლიტიკა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ყოველმხრივ გავითვალისწინოთ თვითეული რესპუბლიკის ეროვნული თავისებურებანი და ადგილობრივი რესურსები, დავაჩქაროთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება.

ჩვენს პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განუხრელად განაგრძოს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ლენინური კურსი. საფუძველს მოკლებულია და ცილისწამებას წარმოადგენს მტრული ბურჟუაზიული პროპაგანდის განცხადებანი იმის შესახებ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი თითქოს დაკავშირებულია რაღაც განსაკუთრებულ სიძნელეებთან, რომლებსაც საბჭოთა ეკონომიკა განიცდის, და რომ საბჭოთა კავშირი თითქოს უარს ამბობს სამეურნეო მშენებლობის წინათ დასახულ მაღალ ტემპებზე. ნამდვილად საქმე ეხება ეკონომიური განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლას. ჩვენ ახლა შეგვიძლია სამრეწველო მშენებლობის მაღალი ტემპები უზრუნველვყოთ არა მარტო პირდაპირი კაპიტალური დაბანდებებით, არამედ ჩვენი შესაძლებლობებისა და რეზერვების უფრო სწორი გამოყენებითაც, სახალხო მეურნეობის უფრო რაციონალური ორგანიზაციით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მიმართულია იქითკენ, რომ კიდევ უფრო კარგად, კიდევ უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდებისა და მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ინტერესებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებისათვის. პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

მეექვსე ხუთწლედის პირველი წელიწადი, როგორც ნათქვამი იყო მოხსენებაში აქტივის კრებაზე, აღინიშნა საქართველოს მშრომელთა გაზრდილი წვლილით სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის 1956 წლის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს. აშენდა და ამუშავდა ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის ტყიბულის, გუმათის № 2 და ბჟუჟის ჰიდროელექტროსადგურები, „ახალციხექვანახშირის" სამადნო სამმართველოს № 3 შახტი, რუსთავის ცემენტისა და აზოტოვანი სასუქების ქარხნები; საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე ფურცელსაგლინავი საამქრო, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის მაღალი წნევის მეხუთე ქვაბი და ტურბინგენერატორი; ამუშავდა თელიანის ღვინის ქარხანა, ქუთაისისა და სოხუმის პურის ქარხნები; დამთავრდა სოხუმ-სოჭის რკინიგზის ხაზის ელექტროფიკაცია და ა. შ.

საქართველოს საწარმოებმა გასულ წელს აითვისეს ახალ სახეობათა პროდუქცია, წარმატებით აჩაღებდნენ ბრძოლას ტექნიკური პროგრესისათვის. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ 1956 წელს დააპროექტა და აითვისა გაუმჯობესებული ჰიდრავლიკური სახეხავ-სალარავი კომბინირებული ჩარხის გამოშვება, სასილოსე კომბაინის დეტალების დასამუშავებელი ჩარხებისა და მთელი რიგი სხვა სპეციალური ჩარხების გამოშვება. 1956 წელს მთლიანად იქნა ავტომატიზებული ხრამჰესი და სოხუმჰესი. სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობაში მექანიზებულია წარმოების მთელი რიგი შრომატევადი პროცესები.

გასულ წელს მიღწეულ იქნა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარკვეული გადიდება. წარმატებით შესრულდა დამზადების გეგმები: პურისა — 102,3 პროცენტით, ყურძნისა — 103,4 პროცენტით, ციტრუსოვანთა ნაყოფისა — 117,7 პროცენტით, მატყლისა — 126,3 პროცენტით. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა.

ყველა ეს წარმატება კარგად არის ცნობილი. მაგრამ, ვაჯამებთ რა გასული წლის შედეგებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, საგეგმო ორგანოების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არსებითი ნაკლოვანებანი ცალკეული სამრეწველო საწარმოების საქმიანობაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, რომლებზეც ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, არის ჩვენს რესპუბლიკაშიც. პარტიული აქტივის, საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა მთლიანად გამოავლინოს ეს ნაკლოვანებანი, განახორციელოს ღონისძიებანი მათი რაც შეიძლება სწრაფი ლიკვიდაციისათვის, აამოძრაოს უმდიდრესი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომლებიც საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას აქვს.

სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაკლია სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობა ზოგიერთი მათგანის მიერ. ჩამორჩენილ საწარმოთა რაოდენობა წლითიწლობით თუმცა მცირდება, მაგრამ მათი ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობაში მაინც კიდევ დიდია. 1956 წელს 951 საწარმოდან სახელმწიფო გეგმა არ შეუსრულებია 249 საწარმოს. ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდნენ საქართველოს ქვანახშირის კომბინატი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, გორის ბამბეულის კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის საავტომობილო, კასპის ცემენტის, რუსთავის აზოტოვანი სასუქების და სხვა ქარხნები.

საწარმოთა მიერ გეგმების შეუსრულებლობა გამოხატულებას პოულობს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებით და დიდი ზარალით. 1956 წლის 9 თვეში საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. ხომერიკი) 35 საწარმოდან დაგროვების გეგმა არ შეუსრულებია 21 საწარმოს, და წლიწადი დამთავრებულ იქნა ზარალით. ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. ჯომარჯიძე) 109 საწარმოდან დაგროვების გეგმა არ შეუსრულებია 37 საწარმოს, და ამან აგრეთვე გამოიწვია სერიოზული ზარალი. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით (მინისტრი ამხ. ჩხეიძე) ზარალი იმის შედეგი იყო, რომ დაგროვების გეგმა 22 საწარმოდან არ შეუსრულებია 12 საწარმოს. ეს ფაქტები დამაჯერებლად მოწმობენ სერიოზულ შეცდომებს საწარმოებისადმი სამინისტროთა ხელმძღვანელობაში.

რესპუბლიკის ბევრ ქარხანაში, ფაბრიკაში, შახტში კვლავ სუსტად წარმოებს მუშაობა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, წარმოების რენტაბელობის გადიდებისათვის. ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ტონა თუჯი ერთიორად უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოებში. აქ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ნედლეულის, სათბობის, ლითონის ხარჯვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, მთლიანად არ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, ხშირია მარტენის ღუმელებისა და საგლინავი დგანების მოცდენა. ქარხნის დირექცია და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი ჯეროვან ღონისძიებებს არ იღებენ ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქვანახშირის თვითღირებულების მხრივ საქართველოს ქვანახშირის კომბინატში (უფროსი ამხ. ვარდიაშვილი). ქვანახშირის თვითღირებულების გადიდების შედეგად კომბინატმა გასულ წელს დაუშვა ზარალი 13.265 ათასი მანეთის რაოდენობით. კომბინატის ხელმძღვანელობა უწინდებურად კმაყოფილდება მარტო ლაპარაკითა და დაპირებებით და გადამწყვეტ ღონისძიებებს არ იღებს ტრესტებისა და შახტების მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. კომბინატის, ტრესტებისა და შახტების მუშაკები კაბინეტებში სხედან ნაცვლად იმისა, რომ სანგრევებსა და ლავებში იყონ. ამან გამოიწვია ის, რომ კომბინატმა გასულ წელს 196 ათასი ტონა ქვანახშირი დააკლო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დაგეგმვის საკითხებს. სწორი დაგეგმვა გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის ინტენსიურ ზრდას. მიუხედავად ამისა, ამ დიდმნიშვნელოვან დარგში რესპუბლიკას სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება შეუსაბამობას საგეგმო დავალებებსა და მატერიალური და საფინანსო რესურსებით მათ უზრუნველყოფას შორის, აგრეთვე იმას, რომ არ ითვალისწინებენ რეალურ შესაძლებლობებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

კარგად ვერ არის საქმე მარგანეცის მრეწველობის მუშაობის დაგეგმვის მხრივ. უმაღლესი ხარისხის მარგანეცის მადნის გამოშვების დაგეგმვა წარმოებდა რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, რის შედეგადაც უკანასკნელ წლებში ვერ სრულდებოდა პირველი ხარისხის კონცენტრატის გამოსავლიანობის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ სრულდებოდა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. 1956 წლისათვის დაგეგმილ იქნა პროდუქციის გამოშვება იმ გამამდიდრებელი ფაბრიკის მიერ, რომელიც მშენებლობის პროცესში იყო. ფაბრიკა არ აშენებულა, მაგრამ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ ეს გეგმა გადაატანინა მოქმედ საწარმოებზე, რომლებიც იმ დროისათვის ხშირად ვერ უზრუნველყოფდნენ მათთვის დამტკიცებული თავდაპირველი გეგმების შესრულებას. ასეთივე მდგომარეობაა აქ 1957 წლისათვის დაგეგმვის მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ გამამდიდრებელი ფაბრიკის და სამადნოს ექსპლოატაცია მხოლოდ მეორე კვარტალში დაიწყება, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ მაინც დაამტკიცა გეგმა იმ ვარაუდით, რომ ეს საწარმოები წლის დამდეგიდან იმუშავებენ.

მრეწველობის დაგეგმვის ნაკლოვანებებს უნდა მიეკუთვნოს ისიც, რომ არ ხდება სხვადასხვა უწყებათა საწარმოებში ერთ და იმავე ნაკეთობათა წარმოების გეგმების სწორად შეთანხმება. ასე, მაგალითად, ავეჯის გამოშვების საქმეში. ავეჯის ასორტიმენტი წესდება სავაჭრო ორგანიზაციებთან თვითეული უწყების შეთანხმებით და ეს შეთანხმება ყოველთვის ცალკე ხდება. ასეთი დაგეგმვის შედეგად ერთისა და იმავე სახელწოდების ნაკეთობას უშვებს სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების რამდენიმე საწარმო. ეს არ იძლევა საწარმოს სპეციალიზაციის, ავეჯის ღირებულების გაიაფებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას არ მოუგვარებია ნედლეულის, სათბობისა და მასალების ხარჯვის მტკიცე ნორმების დაგეგმვა, რაც იწვევს მომარაგების გეგმების არა მარტო არასაკმაო დასაბუთებას, არამედ აგრეთვე საწარმოებში ნედლეულისა და მასალების არასწორ გამოყენებასაც.

წარმოების დაგეგმვის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია აგრეთვე ის, რომ წარმოება და კაპიტალური მშენებლობა საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი ადგილობრივი მასალებით. ამ საქმეს სათანადოდ თუ მოვკიდებთ ხელს, შეიძლება დიდად შევამციროთ თაბაშირის, ხე-ტყის, საყალიბო ქვიშის და ა. შ. შემოზიდვა ჩვენს რესპუბლიკაში. ამასთანავე საჭიროა კვლავ მთელი სიმწვავით დაისვას საკითხი შორეულ და შემხვედრ გადაზიდვათა ლიკვიდაციის შესახებ. მაგალითად, თბილისის ფოლად-თუჯსასხმელო ქარხანა ფოლადის სხმულით, რომელიც დეფიციტურია საქართველოს პირობებში, ამარაგებს სარატოვის, კიევის, ტაგანროგის, ოდესის, კრასნოდარისა და სხვა ქალაქების ქარხნებს. ამავე დროს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ფოლადის სხმულს იღებს ოდესიდან, ხოლო თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა — დონის როსტოვიდან.

მრავალ მაგალითსა და ფაქტზე დაყრდნობით მომხსენებელი აკეთებს დასკვნას: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობა მთლიანად ვერ უპასუხებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. უფრო მეტიც, მთელი რიგი წლების მანძილზე სახელმწიფო საგეგმო კომისიაში დამკვიდრდა არასწორი პრაქტიკა, როცა მისი მუშაკები არსებითად არ ეწევიან სახალხო მეურნეობის დაგეგმვას, არამედ უმთავრესად მუშაობენ ფონდების განაწილების საკითხებზე, მომარაგების საკითხებზე. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკებმა ცუდად იციან მდგომარეობა ადგილებზე და თუ ზოგჯერ კიდევაც აღძრავენ რამე საკითხებს, რაც იშვიათად ხდება, ამას ყოველთვის დასაბუთებულად როდი აკეთებენ: ქაღალდზე კარგად გამოდის, პრაქტიკაში კი სულ საწინააღმდეგო სურათს ვიღებთ.

ახლა, როცა ფართოვდება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები და ძლიერდება მათი როლი მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფო საგეგმო კომისიის პასუხისმგებლობა. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკები მოვალენი არიან ისე გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რომ აქტიურად უწყობდნენ ხელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალ აღმავლობას.

ამხ. მჟავანაძემ აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი კაპიტალური მშენებლობის დარგში. ზევრი სამინისტრო და სამშენებლო ორგანიზაცია ვერ ასრულებს კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმებს და არღვევს ახალი საწარმოო სიმძლავრეების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების ამუშავების დაწესებულ ვადებს. სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს ბევრ ობიექტზე ფანტავენ, რის შედეგადაც მეტისმეტად ჭიანურდება საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები. 1956 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში დაუმთავრებელი მშენებლობა ფულადი გამოხატულებით 870 მილიონ მანეთს შეადგენდა. ამ თანხიდან მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროზე (მინისტრი ამხ. კეცხოველი), საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროზე (მინისტრი ამხ. ხომერიკი), წყალთა მეურნეობის სამინისტროზე (მინისტრი ამხ. ქობულია) და სხვ.

ყველაზე ჩამორჩენილი უბანია საბინაო მშენებლობა. ქალაქის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებანი საცხოვრებელ ბინებზე სრულიად არასაკმაოდ კმაყოფილდება. მიუხედავად ამისა, საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები მეტად ჭიანურდება. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ (მინისტრი ამხ. რობაქიძე) 1956 წელს საბინაო მშენებლობის ასიგნობანი გაანაწილა 9 ობიექტზე — თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, ამასთან არ გაითვალისწინა არც ერთი სახლის დამთავრება. ტრესტ „საქართველოს ჩაის" სისტემაში 1949-1954 წლებიდან შენდება 45 საცხოვრებელი სახლი, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 12,2 მილიონ მანეთს შეადგენს. 1957 წლის 1 იანვრისათვის ათვისებულია 7 მილიონამდე მანეთი, ამასთან საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა არც ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მოხსენებაში დაწვრილებით იყო გადმოცემული რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ დასახული ღონისძიებანი საბინაო მშენებლობის ტემპების გადაჭრით გაძლიერებისათვის. აქტივის კრება მხურვალე მოწონებით შეხვდა ცნობას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხორციელდება დაწესებულებათა და უწყებათა შესამჭიდროებლად საცხოვრებელი ფართობის განთავისუფლების მიზნით. მარტო თბილისში განთავისუფლდება საცხოვრებელი ფართობები, რომელიც საკმარისია ბევრი მშრომელის დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ბინის განსაკუთრებით მწვავე საჭიროებას განიცდიან.

ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, რომელიც შეიცავს ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის საჭირო სამუშაოთა პროგრამას. მიმართვაში სამართლიანად გაკრიტიკებულია საქართველოს სსრ რესპუბლიკა იმისათვის, რომ აქ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოება. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ეს მიმართვა. ისინი მტკიცედ ეცდებიან მიაღწიონ თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას. ხოლო ეს ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრია.

შეეხო რა მდგომარეობას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, მომხსენებელმა გააკრიტიკა რაიონები და კოლმეურნეობები, რომლებიც ჩამორჩებიან უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების შესრულების მხრივ.

ზოგიერთი რაიონის — სამტრედიის, წულუკიძის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების სასოფლო-სამეურნეო არტელებმა არათუ ვერ გაადიდეს, არამედ კიდევაც შეამცირეს წველადობა. ჩვენს კოლმეურნეობებში კვლავ დიდია ძროხების, დედაცხვრების, დედალორების ბერწიანობა. გასულ წელს, 1955 წელთან შედარებით, გაიზარდა დანაკარგები მოზრდილი პირუტყვისა და მოზარდეულის სიკვდილიანობით. კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. მაგალითად, გასულ წელს, 1955 წელთან შედარებით, საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილია 400 კილოგრამით ნაკლები ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის წინაშე დასახულია ამოცანა ჩაის ფოთლის კრეფის მკვეთრი გადიდებისა, უმთავრესად ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის ამაღლების გზით.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი სპეციალიზაციის მნიშვნელობა. ამ საკითხებზე სრულიად არასაკმაოდ მუშაობენ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა მუშაკები. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მკაფიო დაგეგმვა და სპეციალიზაცია შესაძლებლობას მისცემს მას მიაღწიოს ახალ, სერიოზულ წარმატებებს.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი პარტიის მთელი რიგი რაიკომების, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელობის დონე სრულიად არასაკმარისია. მომხსენებელმა, კერძოდ, ანალიზი გაუკეთა პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მუშაობას. ამ საქალაქო კომიტეტის მუშაობის მთავარი ნაკლოვანებები უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს საქმისადმი კონკრეტული მიდგომის უქონლობაში, იმის უნარის უქონლობაში, რომ გამოჰყოს მთავარი და მას მიაპყროს მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღება. საქალაქო კომიტეტი არსებითად არ ეყრდნობა პარტიულ ორგანიზაციებს, ვერ იჩენს ჯეროვან პრინციპულობას და თანმიმდევრულობას ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტაში, ჯეროვნად არ მუშაობს კომუნისტების გასანაწილებლად წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, აღარ ხელმძღვანელობს და ქმედით დახმარებას აღარ უწევს კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს. საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივნები ამხ. სიხარულიძე და ოგნევი არსებითად მოსწყდნენ მასებს, თითქმის არ მიდიოდნენ შახტებში, არ გამოდიოდნენ მეშახტეების წინაშე მოხსენებებითა და ლექციებით, არ ზრუნავდნენ მათი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის. ქალაქ ტყვარჩელის პარტიულმა ხელმძღვანელობამ რომ ვერ შეძლო სწორად შეეხამებინა პარტიული და სამეურნეო მუშაობა, ამისათვის მცირე პასუხისმგებლობა როდი ეკისრება პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, რომელიც კონკრეტულად არ ხელმძღვანელობდა და კონტროლს არ უწევდა საქალაქო კომიტეტის მუშაობას, არ უწევდა მას საჭირო დახმარებას მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

უკეთესი მდგომარეობა არც ქართველ მეტალურგთა ქალაქში — რუსთავშია. პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი ზერელედ ხელმძღვანელობს ქალაქის მრეწველობას, ღრმად ვერ სწვდება იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ შეფერხებებს სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში, არ იღებს ოპერატიულ და დროულ ღონისძიებებს ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად. 1956 წლის აპრილში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება „ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა და ქარხანაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ". მაგრამ ხელმძღვანელობა საქალაქო კომიტეტისა (ამხანაგები ჩალაძე, ვიშნიაკოვი, ანთელიძე) და ქარხნის პარტკომისა იმდენად უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამ დადგენილებას, რომ არც კი განუხილავს იგი საქალაქო კომიტეტის ბიუროზე, პარტკომის სხდომაზე, საამქრო პარტორგანიზაციების კრებებზე, არ დაუსახავს ღონისძიებანი და არ დაურაზმავს კომუნისტები და საწარმოს კოლექტივი დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის არასწორი სტილი და მეთოდები თვალნათლივ ჩანს ზესტაფონის რაიონის მაგალითებითაც. ორგანიზატორულ, პოლიტიკურ მუშაობაზე რაიკომის მხრივ რა ხელმძღვანელობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა რაიონის კოლმეურნეობებში მთელი რიგი წლების განმავლობაში მეტად დაბალ დონეზე დგას შრომის ორგანიზაცია და შრომის დისციპლინა. ბევრ კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მეტად დაბალი მაჩვენებლები აქვს. ამას უნდა დავძინოთ ისიც, რომ რაიონის ბევრი სამრეწველო საწარმო (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ძირულის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა, ტევრის აგურის ქარხანა და სხვები) აგრეთვე სისტემატურად ვერ ასრულებს საწარმოო გეგმებს.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიის დადგენილებებიდან ჯეროვანი დასკვნები ვერ გააკეთეს საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომმა და მისმა მდივნებმა, რაისაბჭოს აღმასკომმა. უკანასკნელ ორ წელიწადში პარტიის რაიკომის ბიუროზე ერთხელაც არ განხილულა კოლმეურნეობებისა და მტს-ების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხები. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონებში. პარტიულ-პოლიტიკური და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა წარმოებს ცხოვრებისაგან მოწყვეტით; არ უკავშირდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს.

ამჟამად რესპუბლიკაში ყველგან დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში და რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. ამ კრებებსა და კონფერენციებზე კომუნისტები პრინციპულად და მწვავედ ამჟღავნებდნენ ნაკლოვანებებს პარტიულ, სამეურნეო და იდეოლოგიურ მუშაობაში. საქმიანად გაკრიტიკებულ იქნენ ადგილობრივი ხელმძღვანელები, საოლქო და რესპუბლიკური ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. აქტივის კრებაზე განსაკუთრებით მწვავედ იქნენ გაკრიტიკებული სოფლის მეურნეობის, განათლების, წყალთა მეურნეობის, ჯანმრთელობის, საავტომობილო ტრანსპორტის და კულტურის სამინისტროები იმის გამო, რომ ისინი კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ ორგანიზაციებს ადგილებზე. საჭიროა სათანადო დასკვნები გავაკეთოთ ამ კრიტიკიდან, უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები და ხარვეზები მუშაობაში.

რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები მოითხოვენ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე მათი როლის გაძლიერებას. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებასაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ გააქტიურეს თავიანთი მუშაობა, მათ მაინც ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ნაკლი აქვთ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ისეთი ფაქტები, როცა პარტიული ორგანიზაციები ცუდად ხელმძღვანელობენ პროფკავშირებს და არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან მათ, ჯეროვნად არ აფასებენ, ხოლო ზოგჯერ კიდევაც უგულებელყოფენ პროფკავშირულ დემოკრატიას, ანგარიშს არ უწევენ პროფკავშირული აქტივის აზრს. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, იბრძვიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი პროფკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლებას, ყოველდღიურად ეხმარებოდნენ მათ მრავალმხრივ მუშაობაში.

საბჭოთა საქართველოს კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა ერთსულოვნად და სავსებით მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტური წრეების ხრიკებს, აძლიერებენ თავიანთ პოლიტიკურ სიფხიზლეს, ზრდიან თავიანთ წვლილს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ რესპუბლიკის პარტიული აქტივი, საქართველოს ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას იმისათვის, რომ ღირსეულად განახორციელონ ის ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ ჩვენს რესპუბლიკას დაუსახა.

* * *

მოხსენების გამო კამათში გამოსულნი, გამოხატავდნენ რა რესპუბლიკის კომუნისტთა და ყველა მშრომელთა ფიქრებსა და გრძნობებს, ერთსულოვნად იწონებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებმა გამოიწვია საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა **ნ. გომელაურმა** აღნიშნა, რომ რუსთაველი მეტალურგები, რომლებიც ღრმად გაერკვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით მათ წინაშე დასახულ ამოცანებში, ახლა ყველა ღონისძიებას იღებენ იმისათვის, რომ სრულად გამოიყენონ ქარხნის არსებული შესაძლებლობები და რეზერვები.

ლაპარაკობს რა ქარხნის საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, რასაც კოლექტივმა მიაღწია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, ამხ. გომელაური სწორად ცნობს ქარხნის ხელმძღვანელობისა და პარტორგანიზაციის მისამართით ამხ. მჟავანაძის მოხსენებაში გამოთქმულ კრიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ქარხანამ ცუდ შედეგებს როდი მიაღწია მუშაობაში, პროდუქციის ცალკეული სახეების, უწინარეს ყოვლისა თუჯის, თვითღირებულება ჯერ კიდევ მაღალია. ამასთან დაკავშირებით ამხ. გომელაური, შიდასაქარხნო მიზეზებთან ერთად, რომლებიც გავლენას ახდენენ თუჯის თვითღირებულებაზე, აღნიშნავს იმის საჭიროებას, რომ გადაისინჯოს დაშქესანის მადნისა და ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის კონცენტრატების გასაცემი ფასები. სერიოზული ნაკლია ისიც, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ამარაგებს ქარხანას, რის შედეგადაც საწარმო სრული ძალით ვერ მუშაობს.

რუსთავი სწრაფად იზრდება, მაგრამ დღემდე გადაწყვეტილი არ არის ქალაქის მოსახლეობის წყლით მომარაგების პრობლემა. თბილის-რუსთავის მეორე სამშენებლო წყალსადენის მშენებლობას, მიუხედავად

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

(დასასრული)

სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრის ამხ. რაიზერის დაპირებებისა, ყოველთვის შემდეგისთვის გადადებენ ხოლმე. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, მიღებულ იქნას აუცილებელი ღონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად. აქ გვესაჭიროება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ **გ. ჯაბუამ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმ ნაკლოვანებათა კრიტიკას, რომლებიც რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური მგეგმავი ორგანოების მუშაობაშია. მოიყვანა რა მრავალი ციფრი, მან ილაპარაკა მრეწველობისა და კაპიტალური მშენებლობის გამოუყენებელ რეზერვებზე. მთელ რიგ საწარმოებში დაგროვდა მასალებისა და მზა პროდუქციის დიდი ზენორმატიული მარაგი; მაგალითად, საქკონსერვტრესტის საწყობებში მილიონობით მანეთის მზა პროდუქცია ირიცხება. მან საკმაოდ ბევრი ყურადღება დაუთმო სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მისამართით გამოთქმულ კრიტიკასაც. მაგრამ ამხ. ჯაბუას გამოსვლაში ადგილი არ აღმოჩნდა თვითკრიტიკისათვის. როგორც კამათის მონაწილენი სამართლიანად აღნიშნავდნენ, საქართველოს სსრ საგეგმო კომისიის მუშაკები ღრმადღრმად ვერ გაერკვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა არსში, მთლიანად ვერ გაერკვნენ იმ დიდ ამოცანებში, რომლებიც ახლა ისახება საგეგმო ორგანოების წინაშე.

საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **მ. ჩიქოვანმა** აღნიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი მეურნეობის დაგეგმვასა და ხელმძღვანელობაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა გამოავლინა, პირდაპირ ეხება ქალაქის საწარმოებს. ისინი ხშირად ვერ ახერხებენ მიაღწიონ რიტმულ, შეწყობილ მუშაობას იმის გამო, რომ, არ არის შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულით, ნახევარფაბრიკატებითა და მასალებით. ცუდი მომარაგების შედეგად, ამბობს ამხ. ჩიქოვანი, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, საკონდიტრო და საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკები, ხორცის კომბინატი, რძის ქარხანა და სხვა საწარმოები სისტემატურად მოცდარი არიან. მგეგმავმა ორგანოებმა, რესპუბლიკურმა სამინისტროებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საწარმოთა მომარაგება ნედლეულითა და მასალებით.

ამხ. ჩიქოვანმა თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საწარმოებში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის შემდგომ გაფართოებას. ამ საქმეში, ამბობს იგი, საჭიროა არა მარტო მორალურად ვუჭერდეთ მხარს ჩვენს წარმოების ნოვატორებს, არამედ ყოველნაირ პრაქტიკულ დახმარებასაც ვუწევდეთ მათ. ამასთან დაკავშირებით გასაკრიტიკებელი არიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო იმისათვის, რომ ჯეროვან სიმტკიცეს ვერ იჩენენ თამბაქოს უჯახოდ შეფუთვის დარგში კომუნისტ ამხ. მათევოსოვის ძვირფასი წინადადების წარმოებაში დასანერგავად. საჭიროა ტრესტებში, სამინისტროებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში გამოვყოთ გარკვეული პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისადმი კვალიფიციური ტექნიკური დახმარების გაწევისათვის.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი **ა. ვარდიშვილი** ლაპარაკობს იმაზე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან მუშაობა არა მარტო კომბინატსა და ტრესტებში. ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს შახტების უბნებს, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური ფასეულობანი, სადაც წყდება ქვანახშირის მოპოვების წარმატება.

ამხ. ვარდიშვილი აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერდეს საძიებო სამუშაოები, რომლებსაც ახორციელებს ტრესტი „კავკაზუგლეგეოლოგია“, აგრეთვე გაფართოვდეს ახალი შახტების მშენებლობა. იგი სწორად ცნობს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას, და პირობას აძლევს აქტივის კრების მონაწილეებს, რომ, განახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ქვანახშირზე საქართველოს მრეწველობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საქართველოს კპ კასპის რაიკომის მდივანმა **გ. კეჩხუაშვილმა** ილაპარაკა რაიონის ყველაზე დიდი საწარმოს — ცემენტის ქარხნის მუშაობაზე. ქარხანა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, გამდიდრდა ახალი ტექნიკით. მაგრამ მისი კოლექტივი ჩამორჩება სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში. სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა შიფერის გამოშვებაშიც. ქარხანაში დაბალია შრომის დისციპლინა. საწარმოს ცუდად ეხმარება პარტიის რაიკომიც, რაზეც სამართლიანად მიუთითა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. ამხ. კეჩხუაშვილმა სწორად ცნო სოფლის მეურნეობისადმი რაიკომის ხელმძღვანელობის კრიტიკაც.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა **დ. ჟორჟოლიანმა** აქტივის კრებას აცნობა, რომ მიმდინარე წლიდან საწარმო სპეციალიზებულ იქნება ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოსაშვებად, რომლებიც განკუთვნილი იქნება ჩაის, ყურძნის და სხვა კულტურების დამუშავებისათვის სამთო მიწათმოქმედების პირობებში. მიმდინარე წელს ქარხანამ უნდა აითვისოს ორი ტიპის მთა-ვაკის ტრაქტორი, ჩაის დამხარისხებელი, ჩაის საკრეფი და სხვა მანქანები.

თავის გამოსვლაში ამხ. ჟორჟოლიანმა ილაპარაკა აგრეთვე იმ სერიოზულ სიძნელეებზე მზა პროდუქციის განლაგებაში, რომლებიც წარმოიშობიან დაგეგმვის მანკიერი მეთოდების შედეგად.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ი. ჩიაევი** აღნიშნავს, რომ ოლქის საწარმოებს 1956 წელი ცუდი მაჩვენებლებით არ დაუმთავრებიათ: ადგილობრივმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 117,6 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკური მრეწველობის საწარმოებმა — 103,6 პროცენტით. მაგრამ ეს შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რესპუბლიკის სამინისტროები მეტ დახმარებას რომ უწევდნენ ოლქის საწარმოებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეში.

ჩვენს ოლქში, განაგრძობს ამხ. ჩიაევი, ძირითადი სამრეწველო ობიექტია კვაისის სამადნო სამმართველო, რომელმაც წარმატებით შეასრულა გასული წლის დავალება. მაგრამ სამადნო სამმართველოს ხელმძღვანელობა არ იყენებს ყველა არსებულ რეზერვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. კვაისის რაიონში არსებული დიდძალი ტყის მასივები გამოყენებული არ არის, ხოლო ხე-ტყის მასალებს საწარმოთა საჭიროებისათვის შორიდან ეზიდებიან და ამაზე დიდი ფულადი თანხები იხარჯება. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ სულ ახლო მომავალში დავიწყოთ ამ მასივების დამუშავება. საჭიროა აგრეთვე გავაძლიეროთ საძიებო სამუშაოები, რომლებსაც ოლქის ტერიტორიაზე აწარმოებენ საქართველოს გეოლოგიური სამმართველო, აგრეთვე „ცვეტმეტრაზვედკის“ რესპუბლიკური კანტორა.

დასასრულ ამხ. ჩიაევი ჩერდება ოლქში გაჩაღებული კაპიტალური მშენებლობის პერსპექტივებზე. იგი ლაპარაკობს, რომ აუცილებელია ოლქის ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა სამშენებლო სამმართველოებისა და კანტორების გაერთიანება. ეს მოსპობს პარალელიზმს, ხელს შეგვიწყობს გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა, შევამციროთ ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი **ი. ხვედელიანი** შეჩერდა დაგეგმვის საკითხებზე. იმის შედეგად, რომ არასწორად არის დაგეგმილი სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დავალებები, აგრეთვე მათი გაგზავნის ვადები, საწარმოებში ჩაწოლილია მზა პროდუქცია. ამხ. ხვედელიანი აყენებს საკითხს, რომ აუცილებელია გაფართოებულ იქნას რესპუბლიკური მომმარაგებელი კანტორების ფუნქციები. შემდეგ მან ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა მეტი ზრუნვა მუშებისა და მოსამსახურეების მზარდ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენი რაიონის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა **ა. გობრონიძემ**, საბრძოლო პროგრამად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი. მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიისა და მთავრობის მოწოდებით, არ დაზოგავენ ძალებს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ამას წინათ დამთავრებულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე რაიონის კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ტრესტი „გრუზჰიდრომშენმონტაჟი“, რომელიც აჭიანურებს მახარაძე-ჩოხატაურის მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას. ეს საფრთხეს უქმნის რაიონის ჩაის ფაბრიკების დროულად ჩართვას საქენერგოს სისტემაში. ამხ. გობრონიძე ლაპარაკობს აგრეთვე იმაზე, რომ აუცილებელია რაიონში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შემდგომი გაფართოება.

ახორციელებდა რა სკკპ XX ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობებს, თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა **დ. მამულაძემ**, ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ გასული წლის გეგმა შეასრულა 15 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 37 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამასთან ერთად ამხ. მამულაძემ აღნიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი აჭარის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშაობაში. ლაპარაკობს რა ბათუმის ფანერის ქარხნის მუშაობაზე, იგი აკრიტიკებს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სამინისტროს იმისათვის, რომ იგი არასაკმაო დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს ამ საწარმოს. 1957 წლის პირველი დღეებიდანვე შეფერხებებია ნედლეულითა და მასალებით სხვა საწარმოების მომარაგებაშიც. არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან ბათუმის სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკები, მანქანათმშენებელი, გემთშემკეთებელი და ტყავის ქარხნები. საწარმოები დიდ სიძნელეებს განიცდიან იმის გამო, რომ გვიან იღებენ საწარმოო გეგმებსა და დავალებებს. სამინისტროები ხშირად წლის მანძილზე რამდენჯერმე ცვლიან საწარმოო გეგმებს. ასე იყო, მაგალითად, გასულ წელს: სამკერვალო ფაბრიკაში გეგმა შეიცვალა ორჯერ, ნავთობგადამმუშავებელ და ტყავის ქარხნებში — სამჯერ.

დასასრულ ამხ. მამულაძემ აქტივის მონაწილეებს უამბო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახორციელებენ დაწესებულებების მიერ დაკავებული ფართობის გასათავისუფლებლად იმ მიზნით, რომ ეს ფართობი საცხოვრებლად იქნას გამოყენებული. აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და პარტიის საოლქო კომიტეტი იღებენ აგრეთვე ღონისძიებებს კაპიტალური მშენებლობის ტემპების გასაძლიერებლად.

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრმა **ს. ლორთქიფანიძემ** აღნიშნა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 1956 წლის გეგმა, მათ შორის საცხოვრებელი ფართობის ჩაბარების გეგმა, საერთოდ სამინისტროს ხაზით გადაჭარბებით არის შესრულებული. მაგრამ მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უკეთესი იქნებოდა, მშენებელთა მუშაობაში ბევრი ნაკლი რომ არ ყოფილიყო. ბევრია უარყოფითი მომენტი მშენებლობის დაგეგმვაში, განსაკუთრებით მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. დიდი თანხებია დახარჯული ტიპურ პროექტებზე, მაგრამ როდესაც პრაქტიკულად დაისვა მათი გამოყენების საკითხი, აღმოჩნდა, რომ არსებითად დამტკიცებული პროექტები არ არის. ეს იმიტომ ხდება, რომ ტიპური დაპროექტების გეგმას გვიკარნახებს საკავშირო „გოსსტროი“ რესპუბლიკის შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად. სამშენებლო ორგანიზაციებს დიდი რეზერვები აქვთ თვითეული კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულების შემცირების საქმეში, მაგრამ მათი გამოყენება სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხდება. ამხ. ლორთქიფანიძემ აღიარა, რომ სამინისტროს პრაქტიკაში ადგილი აქვს ბევრ ობიექტზე სახსრების დაქსაქსვის ფაქტებს, არასაკმაო ყურადღება ექცევა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას. ამასთან ერთად ამხ. ლორთქიფანიძემ დააყენა საკითხი სამინისტროსა და მისი ტრესტებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ეს პირველ რიგში ეხება იმას, რომ მტკიცედ იქნას დაცული წესი მშენებლებისათვის მათ მიერ აგებული საცხოვრებელი ფართობიდან გარკვეული პროცენტის მიცემის მხრივ.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა **ი. ფედიუნინსკიმ** აქტივის კრებას მოახსენა იმის შესახებ, რომ ოლქის ნაწილებში ორგანიზებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლა. მეთაურები, პოლიტმუშაკები, პარტიული და კომკავშირული აქტივი ლექციებში, მოხსენებებსა და საუბრებში მეომრებს განუმარტავენ იმ ღონისძიებათა მნიშვნელობას, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ, რაზმავენ პირად შემადგენლობას პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სამხედრო ოსტატობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ამხ. ფედიუნინსკიმ შემდეგ ილაპარაკა იმაზე, რომ აუცილებელია მეტი ყურადღება მივაქციოთ საბჭოთა არმიის დემობილიზებული ჯარისკაცებისა და ოფიცრების შრომითი მოწყობისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. მან რესპუბლიკის პარტიულ აქტივს პირობა მისცა, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კომუნისტები მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ წარმატებით გაართვან თავი იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ, მთავრობამ და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა დასახეს ოლქის ჯარების წინაშე 1957 სასწავლო წლისათვის.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **გ. გეგეშიძემ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა დიდ შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობაზე საქართველოს დედაქალაქის საწარმოებში და მშენებლობებზე. 1956 წლის გეგმა თბილისის მრეწველობამ 15 დეკემბრისათვის შეასრულა. 1955 წელთან შედარებით გასულ წელს გამოშვებულ იქნა ნახევარი მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია. საქმიანად შეუდგნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას, თბილისის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები 1957 წლის პირველი დღეებიდანვე აძლიერებენ წარმოების ტემპებს.

მაგრამ თბილისის მრეწველობის მუშაობაში კიდევ არის ბევრი დიდი ნაკლი. შეუწყნარებელია ის, რომ გასული წლის გეგმა არ შეუსრულებია ქალაქის 12 საწარმოს. ჩამორჩენილთა შორის არიან კერამიკული კომბინატი, ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხანა, ხორცკომბინატი, ტყავის № 1 ქარხანა და სხვები. საწარმოთა ნაწილი, ასრულებს რა საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებას, ვერ იცავს საგეგმო დავალებებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. ბევრ საყვედურს იწვევს პროდუქციის, განსაკუთრებით, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ხარისხი, ასეთია, მაგალითად, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პროდუქცია, რომლის ხარისხის შესახებ საჩივარი მოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

ილაპარაკა რა საგეგმო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებზე, ამხ. გეგეშიძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიისა და სახელმწიფო ეკონომიური კომისიის ხელმძღვანელი მუშაკები არ ჩამოსულან თბილისში, რესპუბლიკაში, მათი შესაძლებლობების შესწავლის მიზნით. ამიტომ შემთხვევითი არ არის სერიოზული ხარვეზები და შეცდომები წარმოების გეგმების, კაპიტალური მშენებლობის და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განსაზღვრის დროს. საწარმოებთან ცუდად არის დაკავშირებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია.

უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა თბილისის მოსახლეობის მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით. მაგრამ ჯერ კიდევ ნაკლებია წესრიგი ვაჭრობაში. ამას წინათ სამუშაოდან განთავისუფლებულ იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ამხ. საბანაძე, რომელმაც თავი ვერ გაართვა მისთვის დაკისრებულ დიდმნიშვნელოვან პარტიულ საქმეს — ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებას. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მოითხოვა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი მშრომელთა მომსახურებაში.

თბილისის სამშენებლო ორგანიზაციებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ დააჩქარონ საცხოვრებელი სახლების აგების ტემპები. ამასთან ერთად ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია ყოველდღიურად ებრძოლოს ბოროტმოქმედებებს საბინაო ფართობის განაწილებაში, აღწევდეს მშრომელთა საჭიროებების მთლიანად დაკმაყოფილებას.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა **ნ. გიორგაძემ** თავის გამოსვლაში მოიყვანა ციფრობრივი ცნობები, რომლებიც ახასიათებს ტრესტის კოლექტივის მუშაობას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის განმავლობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევაა საბინაო მშენებლობის წლიური გეგმის წარმატებით შესრულება. მშენებლობის ღირებულების შემცირების მეოხებით სამეურნეო წელი მოგებით დამთავრდა.

გაფართოვდა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება. მაგრამ ტრესტს თავის მუშაობაში კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. გასულ წელს სხვადასხვა მიზეზით დაშვებულ იქნა დიდი გაცდენა — 5 ათას კაც-დღემდე. ტრესტის სამრეწველო საწარმოები ჯერ კიდევ განაგრძობენ არაკეთილხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებას. მიწის სათხრელი მექანიზმების გამოყენება შეადგენს 86, ხოლო კოშკურა ამწეებისა — 75 პროცენტს. ილაპარაკა რა მშენებლობის ახალ გეგმებზე 1957 წელს, ამხ. გიორგაძემ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ტრესტს განზრახული აქვს დიდი დახმარება გაუწიოს საწარმოთა იმ კოლექტივებს, რომლებმაც გორკელების მაგალითის მიხედვით გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით აიშენონ საცხოვრებელი სახლები. მაგალითად, განზრახულია 1957 წელს იმ მშენებლობისათვის, რომელსაც საკუთარი ძალებით ახორციელებენ ჭიათურის მარგანეცის ტრესტში, დამზადდეს 350 ათასი ცალი წიდაბლოკი, ხოლო რუსთავის მეტალურგებს, ქიმიკოსებს და მეცემენტეებს მიეცეთ ერთ მილიონამდე ცალი აგური, „150“ მარკის 600 ტონა ცემენტი და 3 ათასი კვადრატული მეტრი რკინაბეტონის ნაწარმი იატაკისა და ჭერის გადახურვისათვის.

გორის ბამბეულის კომბინატმა გასულ წელს 60 პროცენტით გაადიდა საერთო პროდუქციის გამოშვება 1955 წელთან შედარებით. მაგრამ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა საწარმომ ვერ შეასრულა. აქტივის კრებაზე გამოსულმა კომბინატის დირექტორმა **ბ. სლუცკიმ** აღიარა სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობა საწარმოს მუშაობაში. ამასთან ცუდად არის ორგანიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. მაგალითად, ახლა კომბინატი დიდ სიძნელეებს განიცდის სათბობის არარეგულარულად მიწოდებისა და ელექტროენერგიის მიწოდებაში შეფერხებების გამო. კომბინატი განიცდის საცხოვრებელი ფართობის დიდ ნაკლებობას, მაგრამ ახალი საბინაო ფართობის მიღების საქმე სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

ამხ. სლუცკის გამოსვლაში ცოტა იყო ნათქვამი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. აქტივის კრებამ კომბინატის ხელმძღვანელობის ყურადღება მიაქცია იმას, რომ აუცილებელია გადაჭრით გაუმჯობესდეს გორის ქსოვილების ხარისხი და გაფართოვდეს ასორტიმენტი.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილე **გ. ცინცაბაძე**, ლაპარაკობს რა 1956 წელს პროდუქციის გამოშვების და კაპიტალური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებაზე, ეხება იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სამინისტრო ახორციელებს საწარმოებისა და მშენებლობებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. იგი ლაპარაკობს დაგეგმვაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რაც იწვევს შეუსაბამობას წარმოების გეგმასა და კაპიტალურ მშენებლობას შორის. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით, ბევრი ეს ნაკლი შეიძლება სწრაფად იქნას აღმოფხვრილი ადგილზე. დიდი სიზუსტით უნდა ხდებოდეს საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების დაგეგმვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სამინისტროს განზრახული აქვს განახორციელოს ღონისძიებები მეღვინეობის, ჩაის, თამბაქოს საფერმენტაციო მრეწველობის მმართველობის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად. 1957 წელს მოხდება მრეწველობის მთელი რიგი დარგების შემდგომი სპეციალიზაცია და კოოპერირება, დიდი რაოდენობით დაინერგება ტექნიკური სიახლენი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ქადაგიძე** თავის გამოსვლაში შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც მხილებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე და რომლებიც ახასიათებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასაც. მან მოიყვანა ცუდი დაგეგმვის და ახალი მშენებლობის ობიექტებზე სახსრების მოუფიქრებლად განაწილების მრავალი ფაქტი. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისათვის. კაპიტალდაბანდებები ბევრ ობიექტზე ნაწილდება, მაგრამ არსებითად არც ერთი მათგანი სერიოზულად არ შენდება. ეს ითქმის, მაგალითად, სასმელი წყლის მომარაგების და კანალიზაციის ობიექტებზე რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში. ასე წარმოებს მთელი რიგი სარწყავი არხების მშენებლობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — შეასწოროს 1957 წლის გეგმები, მოსპოს სერიოზული ნაკლოვანებანი დაგეგმვაში შესაბამისი სამინისტროების მიხედვით, მიაღწიოს კაპიტალდაბანდებათა რაც შეიძლება მეტ ეფექტიანობას.

რესპუბლიკაში დაშვებულია სერიოზული შეცდომები სამრეწველო ობიექტების განლაგებაში. ამ შეცდომებიდან საჭიროა სერიოზული დასკვნების გამოტანა მომავლისათვის. მაგალითად, რუსთავში საჭირო იქნებოდა მოგვეთავსებინა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ცალკეული საწარმოები. საჭიროა მოვიფიქროთ საკითხი იმის შესახებ, რომ უფრო სწორად გავანაწილოთ რესპუბლიკაში საკონსერვო ქარხნები. მათი რაოდენობა ამჟამად არასაკმარისია. ამასთან ხილის ნაწილი ცალკეულ რაიონებში ფუჭდება იმის გამო, რომ შეუძლებელი ხდება მისი ადგილზე გადამუშავება. კარგი იქნებოდა, თუ თვითეულ რაიონში გვექნებოდა თითო პატარა საკონსერვო ქარხანა.

ხელი უნდა მოვკიდოთ საწარმოთა სწორად დატვირთვის, მათი უკეთესი სპეციალიზაციის, მრეწველობის ცალკეული დარგების კოოპერირების საკითხებსაც. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში.

საბინაო მშენებლობის დარგშიც ბევრია გამოუყენებელი რეზერვები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქების განაშენიანების გეგმების შედგენას მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენების გათვალისწინებით. განაშენიანების ასეთი გეგმა თბილისშიც კი არ არის. ხშირად მშენებლები მუშაობას იწყებენ, როცა ობიექტებთან მიყვანილი არ არის კომუნიკაციები, არ იციან, სად დაიწყონ შენობის აგება, არ არის მისადგომები, არ არის კეთილმოწყობის პროექტები და ა. შ. ახლა, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება აშენდეს ახალი სახლები ძველების აუღებლად და ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით, განსაკუთრებული დაკვირვებაა საჭირო ამ საქმეში.

თვითეული პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციის მოვალეობაა ღრმა ანალიზი გაუკეთოს თავის საქმიანობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მიიღოს ყველა ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, წარმართოს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლისაკენ.

* * *

ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებაში პარტიული აქტივის კრებამ მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებანი და მიიღო ისინი განუხრელად ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება, შეუპოვარი ბრძოლა დიდი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის მრეწველობის, ტრანსპორტის, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაში და სამმართველო აპარატის საქმიანობაში. პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით უნდა ეწეოდნენ მუშაობას იმისათვის, რომ მშრომელები დარაზმონ ბრძოლაში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მიერ 1957 წლის და მეექვსე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებამ პირობა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მთელ ძალღონეს მოახმარს პარტიის XX ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელებას.

სოციალისტური შეჯიბრება რძის წარმოების გადიდებისათვის

წინ მიდიან

წითელწყაროს რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში — 1956 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 1.194 ტონა რძე — 278 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 252 კილოგრამი რძე — 84 კილოგრამით მეტი გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ბოგდანოვკის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში — 1956 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 997 ტონა რძე — 251 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 198 კილოგრამი რძე — 51 კილოგრამით მეტი გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

გარდაბნის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში — 1956 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 262 ტონა რძე — 76 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 130 კილოგრამი რძე — 8 კილოგრამით მეტი გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ახალქალაქის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში — 1956 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 518 ტონა რძე — 141 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 98 კილოგრამი რძე — 30 კილოგრამით მეტი გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ჩამორჩენენ

ჩხოროწყუს რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში — 1956 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 57 ტონა რძე — 77 ტონით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 25 კილოგრამი რძე — 31 კილოგრამით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ვანის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში — 1956 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 91 ტონა რძე — 106 ტონით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 62 კილოგრამი რძე — 56 კილოგრამით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სოხუმის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 30 ტონა რძე — 31 ტონით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 38 კილოგრამი რძე — 29 კილოგრამით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

რედაქტორის მოადგილე რ. ქურციკიძე.

უე 00721 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.